ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ვალერი ხაბურძანია: „ვვარაუდობ, რომ ჩანაწერი გვარამიას გაკეთებულია!“



გვ.2

15 სექტემბრიდან საბავშვო ვეფხისტყაოსანი

სკოლამდელებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ხუთშაბათი, 15 სექტემბერი, 2016 №219 (7145) ფასი: 50 თეთრი

# „ხელისუფლების წარმომადგენლები ნაციონალებში აპირებენ გადმოსვლას“



გვ.3



მეგი გოცირიძე: „პოპკორნი მოიმარაგეთ, წინ მაგარი სანახაობა გველის“

## ლევან ბერძენიშვილი: „ბურჭულაძეს პოლიტიკაზე წარმოდგენა არ აქვს“



„ივანიშვილის ლანძღვაში გულწრფელობას ვერ ვგრძნობ“

გვ.2

## ზვიად ჩიტიშვილი: „ჩვენ მზად ვართ, სამართლიანობისთვის ბრძოლას შევეწიროთ“

გვ.4



ვისი დავალებით მოხსნა ცესკომ რეგისტრაციიდან ბლოკი „თოფაძე მრეწველები ჩვენი სამშობლო“

## ნიკა გვარამია: „ჩანაწერი არის დამონტაჟებული“



გვ.5

## რამაზ საყვარელიძე: „ხელისუფლების ამოცანა ბურჭულაძესთან ბრძოლა არ არის“

გვ.7



ISSN 1987-9385

9 771987 938006

## პაატა ჯიბლაძე: „ორპარტიული მმართველობა არ გამოვა“



გვ.5

# ლევან ბერძენიშვილი: „ბურჭულაძეს პოლიტიკაზე წარმოდგენა არ აქვს“

ნათია ხურცილავა



რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო ლევან, პაატა ბურჭულაძესა და ნიკა გვარამიას შორის ფარულ სატელეფონო ჩანაწერს, რომელიც უკანონოდ გავრცელდა, სადაც მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზეა საუბარი, როგორ შეაფასებთ?***

— ზოგადად მოსმენები გულისამრევია და სრულიად მიუღებელი, ვინც არ უნდა იყოს მოსმენების ობიექტი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ ხელს ვერავის ვერ დავადებთ თუ ვინ ჩაწერა ეს საუბარი, მისი ჩაწერა მოხდა აქ, უკრაინაში თუ ამერიკაში, ჩვენ ეს არ ვიცით. სამწუხარო არის ის, რომ საქართველოს ხელისუფლება ამით არასდროს არ ინტერესდება. იყო გამოქვეყნებული ფარული, უკანონო ჩანაწერები და მისი სრულყოფილი გამოძიება არ მოხდა. თუ ეს საქმეები არ იქნა გამოძიებული და ბოლომდე მიყვანილი, ეს მექანიზმი კიდევ იმუშავებს, რაც სამწუხაროა.

***— სატელეფონო საუბრის შინაარსზე რას იტყვით?***

— ჩვენ არ ვიცით, ეს საუბარი რამდენად ავთენტურია და ამიტომ სასაუბროც არაფერია. საექსპერტო დასკვნა არავის არ დაუდია. არც პაატა ბურჭულაძის და არც ნიკა გვარამიას მხრიდან არ ყოფილა ფაქტის არც დადასტურება და არც უარყოფა. ამიტომ სალაპარაკოც არაფერი არ არის.

***— ნიკა გვარამიამ არ უარყო, რომ მსგავსი შინაარსის საუბარი ჰქონდა პაატა ბურჭულაძესთან.***

— გასაგებია, მაგრამ გვარამიას ეს განცხადება არ ნიშნავს, რომ ამ სატელეფონო საუბრის შინაარსის ავთენტურობა დადგენილია. ჩვენ არ გვაქვს ექსპერტიზის დასკვნა. თუ ეს საუბარი რეალურად შედგა, ეს მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს ორი პარტია, რომლებიც ერთმანეთთან პარტნიორულ ურთიერთობაში არიან. ერთ-ერთს, ბურჭულაძის ოპოზიციურ გაერთიანებას, პოლიტიკასთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა, ამიტომ გადაწყვიტა, რომ მასში შემავალ პოლიტიკურ ძალებთან ერთად, „გირჩი“ იქნება, ვაშაძე თუ სხვები, პოლიტიკური თამაში ითამაშოს. კოალიციაში, თუ რაც არის, ამ ხელოვნურ წარმონაქმნში ვიღაცა ამბობს იმას, რასაც მაინცდამაინც არ ეთანხმება უფროსი. ჩვენ ვნახეთ, რომ ვიღაც არის ისეთი, რომელიც ამბობს ერთს, რასაც პაატა ბურჭულაძე თითქოს არ ეთანხმება. საუბარია იმაზე, მომავალში ითანამშრომლებენ თუ არ ითანამშრომლებენ „ქართულ ოცნებასთან“. ეს პოლიტიკური გამოუცდელობის ამბავია, რადგან არავინ არჩევნების წინ არ ლაპარაკობს, ვისთან ითანამშრომლებს, ეს არ არის ახლა გადასაწყვეტი საკითხი. ეს იქნება მას შემდეგ გადასაწყვეტი, როდესაც არჩევნები გაიმართება და პარლამენტში პარტიები შევლენ, კონფიგურაცია დალაგდება და ა.შ. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის პოლიტიკური გამოუცდელობის ბრალი. წინასწარ ამაზე ლაპარაკი არ მეტყველებს დიდ გამოცდილებაზე.

***— ბოლო დროს ბურჭულაძის პარტიაში თუ კოალიციაში განვითარებულ მოვლენებს როგორ აფასებთ, დისონანსი შეიტანა ამ ყველაფერმა პოლიტიკურ პროცესებში? სადღაც კულუარებში დაგეგმილი მოვლენები სააშკარაოზე გამოვიდა.***

— დიახ, მართალია, რომ სააშკარაოზე გამოვიდა, მაგრამ ეს არის პოლიტიკის პერიფერია, ეს არ არის პოლიტიკის გული, რადგან ბურჭულაძე ვერ გახდა პოლიტიკოსი. ერთ და ორ დღეში პოლიტიკოსი ვერ გახდები. მით უფრო იმ გამოსვლების შემდეგ, რომელიც ვნახეთ. მაგალითად, აჭარაში გამოჩნდა, რომ ბურჭულაძეს პოლიტიკაზე წარმოდგენა არ აქვს. ამ კატასტროფული გამოსვლის შემდეგ არათუ პოლიტიკა, სიმღერა უნდა შეეწყვიტა. პოლიტიკა, საქმის კეთების გარდა, ლაპარაკიც არის. მას ლაპარაკი არ შეუძლია და საქმე როგორ უნდა გააკეთოს?!

საერთოდ უნდა ვთქვა, რომ ბურჭულაძის პარტია, თუ რაც არის, თვალსა და ხელს შუა ქრება. ყველაზე უფრო მოწინავე პირები ტოვებენ პარტიას და გადიან. ამ დროს, როდესაც პარტიაში ეს ხდება, პაატა ბურჭულაძე სხვა კონტინენტზე იმყოფება. ეს საერთოდ წარმოუდგენელი ამბავია. მაგალითად, დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის რანგში, როდესაც ქვეყნიდან მივლინებით მიდის, ჩვენ ამასაც მივტირით, რომ ერთი დღით პარტიაში კაცი, ლიდერი დაგვაკლდება. სხვა პარტიაში კი თურმე თვეობით შეიძლება არ იყო. ამიტომ არ მჯერა ამ პარტიის მომავლის სწორედ იქიდან გამომდინარე, რასაც ვხედავ. ეს პარტია გადალახავს თუ არ გადალახავს საარჩევნო ბარიერს, იქნება თუ არა პარლამენტში წარმოდგენილი, მას, როგორც ჩანს, პოლიტიკური მომავალი არ აქვს.

## „ივანიშვილის ლანძღვაში გულწრფელობას ვერ ვგრძნობ“

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ეს ხალხი, რომელიც ჯერ არსად არ მოსულა, მაგრამ უკვე აკეთებს ასეთ განცხადებებს და უკვე ვხედავთ ასეთ მოვლენებს, მათ, რა თქმა უნდა, გაუჭირდებათ. მართალი გითხრათ, საინტერესო კი არის, მაგრამ საქართველოს პოლიტიკის უმნიშვნელო ნაწილია პარტია — სახელმწიფო ხალხისთვის. საერთოდ, ორპარტიული დაპირისპირება „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის, თავისი ხელოვნური გაერთიანებით, რომელიც, როგორც ჩანს, ორმაგი დაქვემდებარებისაა, სამივე ერთად ჯამში 50%-ზე მეტს ვერ აიღებს. ქვეყანაში კიდევ არის 50%, რომლისთვისაც სხვა პარტიები იბრძვიან, ამიტომ მომავალი პარლამენტი იქნება არა ორ პარტიული და სამ პარტიული, არამედ მრავალპარტიული. დაახლოებით 1992 წლის პარლამენტის მსგავსი პარლამენტია მოსალოდნელი.

***— თქვენ ამბობთ, რომ ჭრელი პარლამენტი გვეყოლება?***

— არა, მე ვამბობ მრავალპარტიული, ჭრელში უარყოფითი ნოტები იგრძნობა. პოლიტიკა ერთფეროვანი და ერთ პარტიული კატასტროფაა. საბჭოთა კავშირი უკვე იყო 70 წელი ამ ქვეყანაში.

***— ბატონო ლევან, თქვენ ახსენეთ ორპარტიული დაპირისპირება, როდესაც პაატა ბურჭულაძე გამოჩნდა, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ სწორედ ის იყო მესამე ძალა, რომელიც სწორედ ამ ორპარტიული დაპირისპირების ალტერნატივა შეიძლება ყოფილიყო. დღეს ეს შანსი ნაკლებია?***

— მესამე ძალა არა, ბურჭულაძე თავის თავს, როგორც პირველს, ისე განიხილავს. მერე გაირკვა, რომ მესამე ძალაა, ახლა ირკვევა, რომ მე-17 ძალაა. უკაცრავად, მაგრამ ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ მას, იმ პარტიებს შორის, ვისაც ბარიერის გადალახვის შანსი აქვს, უფრო მეტი რეიტინგი აქვს.



***— იმ შემთხვევაში, რესპუბლიკური პარტია თუ იქნება პარლამენტში წარმოდგენილი, ვისთან ითანამშრომლებთ და ვისთან გამორიცხავთ?***

— არის საკითხები, რომელთან დაკავშირებითაც ყველა პარტიასთან ვითანამშრომლებთ. მაგალითად, ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებზე, ნატოსთან დაკავშირებით ვითანამშრომლებთ ირმა ინაშვილთანაც თუ მან ხელი მოაწერა დოკუმენტს. თუ საუბარია უმრავლესობას ვისთან შევქმნით და ვისთან არა, ჯერ უნდა ვიცოდეთ, ვინ შედის პარლამენტში და ვინ ვერა. ახლა ამაზე ვერ ვფიქრობთ, ახლა ჩვენ ვფიქრობთ თუ როგორ მოვხვდეთ პარლამენტში იმაზე მეტი, ვიდრე ვართ, ახლა 10 კაცი ვართ. უკანასკნელი სიტყვებით გვლანძღავს, გვწყევლის კოალიციის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

***— ბიძინა ივანიშვილზე ხართ ნაწყენი ბატონო ლევან?***

— არა, ბებია რომ შვილიშვილს წყევლის და ძუძუებით ლოცავს, ასეთი ამბავია. ვერ ვგრძნობ მის ლანძღვაში გულწრფელობას. პოლიტიკური ამოცანა აქვს, როგორც ჩანს, მაგრამ ჩვენ ვერ გავიგეთ, რა უნდა.

# ვალერი ხაბურძანია: „ვვარაუდობ, რომ ჩანაწერი გვარამიას გაკეთებულია!“

ნიკა გვარამიასა და პაატა ბურჭულაძის ფარულმა ჩანაწერმა ინტერნეტსივრცე დაიპყრო.

ჩანაწერის მიხედვით, აღნიშნული პირები პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობენ, მათ შორის ნიკა გვარამია პაატა ბურჭულაძეს „გირჩის“ იმ წევრების პოზიციის გამო საყვედურობს, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში ყოფნის სურვილს ეხება. თავის მხრივ, ბურჭულაძე გვარამიას პასუხობს, რომ „მსგავსი რამ არ ხდება“.

ჩანაწერის ავთენტურობა ჯერ არ დადასტურებულა, თუმცა რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი არ უარყოფს, რომ პაატა ბურჭულაძესთან მსგავსი საუბარი შედგა.

— ღია ხაზზე დავრეკე სპეციალურად. არაფერი მქონდა დასამალი და იმიტომ.

სამი დღე არ დაჭირდა სუს-ს. აი, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, — წერს ნიკა გვარამია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“.

პოლიტიკოსებს, ექსპერტებს საქმე გამოუჩნდათ. ბურჭულაძის პოლიტიკურ მომავალსა და ნიკა გვარამიას პოლიტიკურ, პროკურორულ წარსულს ყველა ჭრილში განიხილავენ. მათი ვარაუდების დიდი ნაწილი თითქმის იდენტურია, რომ ჩანაწერის გაკეთების იდეაც და შესრულებაც ალბათ ნიკა გვარამიასგან მოდიოდა. იმასაც ამბობენ, ნიკა გვარამიას სახით საკმაოდ დიდი ძალა დაკარგეს ნაციონალებმა, რადგან მასზე უკეთეს პიარს და პრესსამსახურობას ვერავინ გაუწევსო.



ზოგიერთი ექსპერტის აზრით, 9 რიცხვი მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისათვის“ საკრარული აღმოჩნდება, რადგან ისინი თავიანთ პოლიტიკურ ისტორიას 9 ოქტომბერს დაასრულებენ. სანამ პარტიამ ცესკომდე მიაღწია და ოფიციალური განაცხადი გააკეთა არჩევნებში მონაწილეობაზე, ბურჭულაძეს თავისივე შერჩეული „თანამებრძოლები“ მტრად მოევლინენ. ზოგნი იმასაც ქირქილობენ, თავად ბურჭულაძემაც დატოვა პარტია და ამერიკაში „გაიხიზნაო“.

გვარამია-ბურჭულაძის ჩანაწერთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება გამოითქვა.

საყურადღებოა საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის ვალერი ხაბურძანიას აზრი. მისი ვარაუდით, პაატა ბურჭულაძისა და ნიკა გვარამიას სკანდალური აუდეოჩანაწერის გავრცელება ნიკა გვარამიას ორგანიზებულია. ამის შესახებ ვალერი ხაბურძანია „რეპორტიორს“ ესაუბრა:



— ვვარაუდობ, რომ ეგ ჩანაწერი გვარამიას გაკეთებულია! პირველი, იმიტომ, რომ კვლავ ააგორონ კამპანია „ისევ გვისმენენ“. მოსმენები ყოველთვის სენსიტიურია ამომრჩევლისათვის და ამიტომაც...

მეორეც — თუ გვარამიას ტექსტს დააკვირდებით, მთლიანად „შიფრავს“ „გირჩს“ და „ძირავს“ პაატა ბურჭულაძეს, თემაც მოგონილი ან სულ მცირე — გაზვიადებულია, რაც პაატა ბურჭულაძის საპასუხო ზარიდანაც ჩანს. ნაციონალები ხვდებიან, რომ რაღაც ხმებს ბურჭულაძე და „გირჩი“ მათ წაართმევს და უბრალოდ, ბოლომდე ჩაუშვეს მოწინააღმდეგე. რუსული კომენტარი „Неразборчиво“-ც გვარამიას ან ადეიშვილ-მესხელის ტვინშია დაბადებული და თუ ჩამეკითხებით, საიდან მაქვს ეს ვარაუდები, გეტყვით: გვარამიასი არ იყოს — „сквозь пальцы вижу“. ერთიცაა: რადგან ქვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ისროლეს, სასწრაფოდ უნდა დაადგინონ, საიდან აიტვირთა ეს ყველაფერი, თუმცა, ეს ძალიან რთული იქნება დასადგენად. ვფიქრობ, ეს „გარუსულებაც“ სპეციალურად არის გაკეთებული.

დიახ, ამ ჩანაწერით ქვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ბოსტანში ისროლეს! ასე უნდა იყოს, — განუცხადა ვალერი ხაბურძანიამ „რეპორტიორს“.

◆ ◆ ◆

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ინტერნეტში გავრცელებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერის მოპოვებასთან კავშირს უარყოფენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პრესსამსახურში განუცხადეს, უსაფუძვლოა ბრალდება, თითქოს აღნიშნულ ჩანაწერთან სუს-ს რაიმე კავშირი აქვს.

— ეს ბრალდება არის უსაფუძვლო. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უარყოფს რაიმე სახის კავშირს აღნიშნული ჩანაწერის მოპოვებასა და გავრცელებასთან. თუ ვის მიერ იქნა მოპოვებული და გავრცელებული აუდიოჩანაწერი, გამოძიება დაადგენს. ფაქტზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო, — აცხადებენ სუს-ის პრესსამსახურში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ხელისუფლების წარმომადგენლები ნაციონალებში აპირებენ გადმოსვლას“

შორენა მარსაგიშვილი

რისთვის ემზადებიან ნაციონალები, რა იარაღს გამოიყენებენ არჩევნებზე, რა ინფორმაცია ჟონავს „ქართული ოცნებიდან“? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.

***– პროვოკაციები და არეულობის თემა კვლავ აქტუალურია. შს მინისტრი და პრემიერი ამბობენ, რომ მოსალოდნელ არეულობაზე სერიოზული ინფორმაცია აქვთ.***

– მაგ დალოცვილებს თუ სერიოზული ინფორმაცია აქვთ, წავიდნენ და აღკვეთონ მოსალოდნელი არეულობა.

***– „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ინფორმაცია არეულობის სამზადისზე ნაციონალებიდან ჟონავს. ამაზე რას იტყვით?***

– თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო კობახიძეს – ირაკლი, შვილო, ინფორმაციების გამოჟონვა თქვენსკენ მოიკითხე.

***– ამით რისი თქმა გინდათ?***

– ის, რომ ყველაფერი ვიცით, რაც მათ პარტიაში ხდება. ვიცით, რომ პოლიტსაბჭოს ყველა სხდომა ცემა-ტყეპით მთავრდება. ვიცით, რა ამბები იყო სიის ფორმირებაზე. სხვათა შორის, ეს დეტალები კობახიძის ახლო მეგობრებიდან გავიგეთ.

***– ამ მეგობრებს არ დაასახელებთ?***

– რა თქმა უნდა, არა. ახლა წავიდეს და ირაკლი კობახიძემ გაარკვიოს, ვის გამოაქვს მათგან ინფორმაცია. ჩემი მხრიდან ერთ საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით, „ოცნების“ პოლიტსაბჭოს რამდენიმე წევრი ძალიან აქტიურად ცდილობს ჩვენთან კონტაქტზე გამოსვლას.

***– რას ნიშნავს ცდილობს კონტაქტზე გამოსვლას?***

– ინფორმაციებს გვაწვდიან, მომავალზე გვესაუბრებიან. ძალიან კარგად იციან, რომ მათი საქმე დამთავრებულია და ჩვენთან მოსასვლელ გზებს ეძებენ.

***– თქვენთან რა უნდათ?***

– იციან, რომ ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში.

***– ეს საიდან იციან?***

– ეს ბავშვმაც კი იცის.

***– არჩევნების შედეგებზე არჩევნების შემდეგ ვისაუბროთ, მანამდე არეულობაზე მაინტერესებს თქვენი აზრი?***

– ამ 4 წლის მანძილზე ქოცებისგან მეტი არაფერი გამიგია, მარტო სისხლიან 9 წელს და მოსალოდნელ არეულობაზეა საუბარი. თუ 9 წელი ამდენი დანაშაული ჩავიდინეთ და სისხლისმსმელები ვიყავით, რატომ არ გაგვასამართლეს? რატომ შეიყვანეს სიაში ნაციონალები, მარტო მე და მიშა ვსვამდით სისხლს? რაც შეეხება არეულობას, ამდენ ლაპარაკს, არ ჯობდა, ფაქტები დაედოთ? ხომ ამტკიცებდნენ, რომ ნახმარ საბურავებს ვაგროვებდით მაიდნის მოსაწყობად, ეს საბურავები დაიდოს.

ამ თემაზე საუბარი ირაკლი ღარიბაშვილმა დაიწყო. მერე ჭიკაიძემ გააგრძელა. ჭიკაიძის შემდეგ თუ კიდევ გამაკვირვებდა შს მინისტრი, არ მეგონა, მაგრამ გიორგი მღებრიშვილმა ყოველგვარი რეკორდი მოხსნა.

***– რაზე საუბრობთ?***

– ქვეყანა კრიმინალების სათარეშო მოედნად გადაიქცა. დღე ისე არ გავა, ვიღაც არ დაჭრან, ან არ მოკლან. ყაჩაღობებზე აღარაფერს ვამბობ, ამ დროს გამოდის შს მინისტრი და ამბობს, ჩვენმა ოპონენტებმა იციან, რომ არჩევნები წაგებული აქვთ და არეულობას გეგმავენო.

ჯერ ერთი, საიდან იცის, ვის წაგებული აქვს და ვის მოგებული და მეორე, როგორ შეიძლება შს მინისტრი საქართველოს მოქალაქეების ნაწილს ოპონენტებად მოიხსენიებდეს? ეს ჭიკაიძიზმიც აღარ არის, ეს არაპროფესიონალიზმის ზეიმია. ამის შემდეგ გამოვლენ და იტყვიან, პოლიცია დეპოლიტიზირებულიაო.

ჩვენ არეულობას ნამდვილად არ ვაპირებთ, არეულობას ვინც აწყობს, ამას ყველა ხედავს. დაგვირბიეს ოფისები, ნაცმოძრაობის თითქმის ყველა ლიდერზე თავდასხმები განხორციელდა. ამის შემდეგ ყოფნით სითავხედე და ამტკიცებენ, რომ ჩვენ პროვოკაციებისთვის ვემზადებით.

ერთადერთი პარტია, რომელსაც ახლა საქართველოში არეულობა სურს, ეს „ქართული ოცნებაა“. ისინი უკვე დამარცხებული არიან და ეს ივანიშვილის სატელევიზიო გამოსვლამაც დაადასტურა.

***– როდის და სად თქვა ივანიშვილმა ვმარცხდებითო?***

– ქუთაისში გამართული პრესკონფერენცია ამის ნათელი მაგალითია. ჟურნალისტების ნაწილი ოთახში ჩაკეტეს და მხოლოდ ისინი დაუშვეს, რომლებიც ყოფილ პრემიერს მისთვის სასურველ კითხვებს დაუსვამდნენ. მოგვიანებით ივანიშვილი უკანა კარიდან გააპარეს, ის 20 კაცთანაც კი ველარ ბედავს დალაპარაკებას. მას უკვე საკუთარმა თანაგუნდელებმა აქციეს ზურგი.

***– ეს რაში გამოიხატა?***

– ის „ქართული ოცნების“ საარჩევნო კლიპიდანაც კი ამოიღეს. ჩვენ ისიც ვიცით, რას ამბობენ ყოფილ პრემიერზე მისი თანაპარტიელები.

***– რას ამბობენ?***

– მე რატომ უნდა მოგიყვეთ. ცოტა ხანი მოიცადეთ და საჯაროდ გააკეთებენ ამ განცხადებებს. „ოცნებაში“ ღიად საუბრობენ, რომ არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსის იმედი



## მეგი გოცირიძე: „პოპკორნი მოიმარაგეთ, წინ მაგარი სანახაობა გველის“

აქვთ მხოლოდ და მინდა ვუთხრა, რომ იმედი გაუცრუვდებათ. ადმინისტრაციული რესურსი მათ მხარეს არ იქნება.

გამოსავალი ერთია – არჩევნები უნდა გააყალბონ. ამიტომაც მიამაგრეს საარჩევნო უბნებზე ნარკომანები.

***– ნარკომანებმა რა უნდა გაუკეთონ?***

– ეს ხალხი ყველაფერზე წავა და არჩევნების ჩასაშლელად გამოიყენებენ. ვაფრთხილებ ხელისუფლებას, არაფერი გაბედონ. ამ უკანონობას ჩვენ ძალიან სერიოზულ იარაღს დავუპირისპირებთ.

***– რა იარაღს?***

– ჩვენი იარაღი ჩვენი მხარდამჭერების ხმებია.

***– ზედმეტად ხომ არ ხართ საკუთარ ამომრჩეველში დარწმუნებული?***

– პირიქით, ძალიან მოკრძალებულად ვსაუბრობ. ჩვენ იმაზე მეტი მხარდამჭერი გვყავს, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია. ისინი მწყობრად და მშვიდობიანად წავლენ არჩევნებზე და მოგვცემენ ხმას.

***– ყველა პარტია იმას იძახის, რომ ამომრჩეველი მას მისცემს ხმას.***

– სხვა პარტიებთან ჩვენი შედარება როგორ შეიძლება? დაუშვებელია ნაციონალური მოძრაობა რესპუბლიკელებთან გააიგივო.

***– არადა ბევრი საერთო გაქვთ?***

– რა გვაქვს მაგათთან საერთო? ისინი ისევე აგებენ პასუხს ამ 4 წელზე, როგორც „ქართული ოცნება“. პასუხი განსაკუთრებული სიმწვავით დავით უსუფაშვილს მოეთხოვება.

***– უსუფაშვილს რატომ სთხოვთ განსაკუთრებული სიმკაცრით პასუხს?***

– იმიტომ, რომ პარლამენტის თავმჯდომარეა და ქვეყნის მეორე პირია. ყველაზე სასაცილო ისაა, რომ ამ კაცმა გამოაცხადა, ოპოზიცია ვარო. 4 წელი თავზე დაიმხო ყველაფერი და არჩევნებიდან 2 კვირით ადრე ოპოზიციაში წავიდა.

***– უსუფაშვილმა კონკრეტულად რა დაიმხო თავზე?***

– რა დაიმხო და ქვეყნის ბიუჯეტი. პარლამენტის შენობის რემონტზე ათეულობით მილიონი დახარჯა.

***– თქვენმა ხელისუფლებამ საერთოდ მეორე პარლამენტის შენობა ააშენა, რაშიც 400 მილიონამდე დაიხარჯა.***

– ძალიანაც კარგი მოხდა, რომ ახალი პარლამენტის შენობა აშენდა. იქ მუშაობისთვის ყველა პირობაა შექმნილი. უსუფაშვილს ქუთაისში სიარული დაეზარა და თბილისის პარლამენტი გაარემონტა. და ეს იმ დროს, როცა ხალხი ქუჩაში შიმშილით იღუპება. უსუფაშვილს ოპოზიციის მანტია არ უშველის, ის სხვებთან ერთად აგებს პასუხს.

ახლა ისევ არეულობას დავუბრუნდები და მინდა ვიკითხო, კორცხელში ვინ მოაწყო არეულობა? ამ არეულობაზე ხალხმა მათ საკადრისი პასუხი გასცა და იმიტომაც წააგეს იქ არჩევნები. ასევე იქნება მთელი საქართველოს მასშტაბით – მოაწყობენ არეულობას, წააგებენ არჩევნებს.

***– გამოდის, რომ არეულობა თქვენს ინტერესშია.***

– ჩვენს ინტერესში არანაირად არ არის. მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ხალხის რეაქცია იქნება ადეკვატური. ჩვენი იარაღი ჩვენი საარჩევნო ხმაა. ამ ხმებს კი აუცილებლად დავიცავთ.

***– რა ფორმებით დაიცავთ?***

– ყველა ფორმით დავიცავთ. ამის უფლება კონსტიტუციით გვაქვს მონიჭებული. 2012 წელს, არჩევნების წაგების შემდეგ, ჩვენ წავედით. ამათ კეთილი ინებონ და წავიდნენ. წასვლამდე კი ისეთ სანახაობას შემოგვთავაზებენ, ყალყზე დაუდგება ყველას თმები.

***– რა სანახაობას?***

– ერთმანეთზე ისეთ რამეებს იტყვიან, შოკში ჩავარდებით.

***– თქვენ საიდან იცით, რას იტყვიან?***

– თავად გვიყვებიან ამის შესახებ. ასე რომ, პოპკორნი მოიმარაგეთ, წინ მაგარი სანახაობა გველის.

# „სააკაშვილი უკრაინას აღარ სჭირდება“

გავლენიანი ამერიკული გამოცემა „EurAsiaNet“-ი, საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე ვრცელ სტატიას აქვეყნებს, სადაც ოდესის ოლქის გუბერნატორის არცთუ სახარბიელო სავარაუდო მომავალზეა საუბარი.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას:

– არის ერთი ასეთი ანდაზა: „ორი კურდღლის მადევარი ვერცერთს ვერ დაიჭერსო“. ეს ხატოვანი გამოთქმა პოლიტიკისაც ეხება და თუ დღევანდელ სიტუაციას გავითვალისწინებთ, განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილზეა ზედგამოჭრილი, რომელიც, როგორც ცნობილია, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ოდესის ოლქის ამჟამინდელი გუბერნატორი გახლავთ.

მიხეილ სააკაშვილი მრავალი წლის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ და არაერთგვაროვან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა ევრაზიის სივრცეში.

იგი იყო ისეთი ლიდერი, რომელიც დემოკრატიული მიზნების მიღწევაში ხშირად არადემოკრატიული მეთოდებს იყენებდა. მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის პოსტი 2013 წელს დატოვა, ანუ მან მაქსიმალურად გამოიყენა კონსტიტუციით მინიჭებული ორი ვადით არჩევის უფლება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობა, ფაქტიურად, 2012 წლის პირველ ოქტომბერს დასრულდა, როცა მისი პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო „ქართულ ოცნებასთან“ ჭიდილში დამარცხდა.



პრეზიდენტის სავარძლის დატოვების შემდეგ მიხეილ სააკაშვილი საქართველოდან აშშ-ში წავიდა, მოგვიანებით კი, 2014 წელს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იმ დროს ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა თავის დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ უკრაინაში მომხდარმა მოვლენებმა ყველაფერი შეცვალა: 2015 წელს უკრაინის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ მთელი მსოფლიო გააკვირვა იმით, რომ ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოდესის საოლქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დანიშნა.

ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა კორუფციასთან ბრძოლა დაიწყო (მას აუტსაიდერის როლში ყოფნა არ სურდა), მაგრამ ბევრი პრობლემის წინაშე დადგა.

ოდესის ოლქში მექრთამეობას ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები, ამიტომ ბრძოლა უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე მშობლიურ საქართველოში, სადაც მიხეილ სააკაშვილის მკაცრმა განცხადებებმა და ავტორიტარული სტილით მუშაობამ გარკვეული ნაყოფი გამოიღო – დაბალ დონეზე კორუფცია საკმაოდ შემცირდა, განსაკუთრებით საგზაო პოლიციის თანამშრომლებში. ამავე დროს მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოყენებულმა მეთოდებმა უარყოფითი გავლენა მოახდინეს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, ზოგჯერ კი უხეშად ირღვეოდა სამართლებრივი ნორმებიც.

მიხეილ სააკაშვილმა მალე დაინახა, რომ ბრძოლის მისეული მეთოდები, რომლებსაც იგი სამშობლოში იყენებდა, უკრაინაში, ოდესის ოლქში შედეგს არ იძლეოდა. რასაკვირველია, ის ფაქტი, რომ ექს-პრეზიდენტს ყველაფერი კარგად არ გამოუვიდოდა, შეიძლება იმ ობიექტური მიზეზებით აიხსნას, რომლებიც ოდესის ოლქში არსებული სიტუაციითა განპირობებული: აქ ხომ პოსტსაბჭოთა უკრაინის ვერცერთმა მთავრობამ ვერ შეძლო კორუფციის მოსპობა და ვითარების გამოსწორება...

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# გიგა ბოკერია: „ეს ყველაფერი 8 ოქტომბრის შემდეგ დამთავრდება“

– ეს ივანიშვილს ვერ უშველის, რადგან საზოგადოებას მისთვის პოლიტიკური განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს.

აცხადებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია მთავრობის მხრიდან, მოსალოდენელი დესტაბილიზაციის შესახებ გაკეთებული განცხადებების კომენტირებისას.

– ბიძინა ივანიშვილი და ივანიშვილის გუნდი, რომელმაც ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანა და რომლისგანაც ოთხი წელი, მავნებლობისა და უნიათობის გარდა არაფერი გვინახავს, ახლა ხედავს, რომ არჩევნებს წააგებს და მორიგად, აი ამ ბოდვას გვთავაზობს. ეს არის პირველი შემთხვევა – დაწყებული საბურავებით და გაგრძელებული ჭიკაიძით. ახლა ამაში ე.წ. პრემიერ-მინისტრიც ჩაერთო.

ეს მთავრობა იმისთვის აირჩიეს, რომ საქმისთვის მიეხედა და ამის ნაცვლად, აი ამ აბსურდს ვისმენთ. ეს ყველაფერი 8 ოქტომბრის შემდეგ დამთავრდება, – განუცხადა ჟურნალისტებს ბოკერიამ.



**პირველი რადიო**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

2016, 15 სექტემბერი, №219

# ზვიად ჩიტიშვილი: „ჩვენ მზად ვართ, სამართლიანობისთვის ბრძოლას შევეწიროთ“

**რატომ არ უნდოდა ცესკოს მათი რეგისტრაციაში გატარება, ვის კისერზეა მათი თანაპარტიელის გარდაცვალება, რა დაუბარეს ამერიკის საელჩოდან? – ამაზე „ახალ თაობას“ პარტია „ჩვენი სამშობლოს“ ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი ესაუბრება.**

## ვისი დავალებით მოხსნა ცესკომ რეგისტრაციიდან ბლოკი „თოფაძე მრეწველები ჩვენი სამშობლო“



**ზვიად ჩიტიშვილი:**

– საუბარს ჩვენი ერთგული თანამებრძოლის ზაზა ლაზაროვის გახსენებით დავიწყებ. ის უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა და დამნაშავეები ამაზეც აგებენ პასუხს.

ზაზა იყო პარტია „ჩვენი სამშობლოს“ წევრი, ის ნაძალადევის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. ცესკომ ჩვენი ბლოკი „თოფაძე მრეწველები ჩვენი სამშობლო“ რეგისტრაციაში არ გაატარა. ამ უკანონობის გასაპროტესტებლად ჩვენ ცესკოსთან საპროტესტო აქცია დავიწყეთ. 50-მდე ადამიანმა შიმშილობა გამოვაცხადეთ. მიუხედავად იმისა, რომ ზაზას გულის ოპერაცია რამდენჯერმე ჰქონდა გადატანილი, შიმშილობა მანაც დაიწყო.

ძალიან ნერვიულობდა, ამბობდა, ჩვენი სიმართლე რომ ვერ დავადგინოთ, ჩვენს მხარდამჭერებს რა უნდა ვუთხრათო. ამდენ უსამართლობას მისმა გულმა ვეღარ გაუძლო და გარდაიცვალა.

მისი სახით ჩვენ ერთგული თანამებრძოლი დავკარგეთ, ამ ქვეყანამ კი დიდი მამულიშვილი.

***– თქვენს პარტიაში როგორ მოხვდა ეს ადამიანი?***

– ის ჩემი დეიდაშვილის ნათესავია. ერთმანეთს შორიდან ვიცნობდით. ჩვენი გზები 2013 წელს გადაიკვეთა. ნაძალადევის საარჩევნო ოლქში ვადამდელი არჩევნები ტარდებოდა, არჩევნებში მეც ვიყრიდი კენჭს, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი. ზაზამ ეს ამბავი რომ გაიგო, მოვიდა და გვერდში დადგომა შემომთავაზა. მან ძალიან დიდი დახმარება გამიწია არჩევნებზე. ის ახლაც დაგვეხმარებოდა, მაგრამ მისმა გულმა ამდენ უსამართლობას ვერ გაუძლო. ზაზა 45 წლის იყო, მას მეუღლე და 2 შვილი დარჩა.

**ეს ყველაფერი ხდებოდა ცესკოს მისაღებში, სადაც 50 ადამიანი 2 დღის მანძილზე ვშიმშილობდით. ზოგს მშრალი შიმშილობა გვქონდა გამოცხადებული. ქალბატონი თამარ ჟვანია არც ერთხელ არ დაინტერესებულა ჩვენი მდგომარეობით. არადა ამ ადამიანის გადაწყვეტილების გამო დავიწყეთ შიმშილობა. ის ვალდებული იყო მოსულიყო. მინდა ყველას შეგახსენოთ, რომ მისი ხელფასი არის 25.000. მე პირადად არანაირი სურვილი არა მაქვს, რომ როგორც გადამხდელმა, ამ პიროვნებას ხელფასი ვუხადო. ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების შემდეგ კი, დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა ჩემს პოზიციას გაიზიარებს.**

ის ნაძალადევში, ჯავის ქუჩაზე გაიზარდა. მას უბანში დიდ პატივს სცემდნენ. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში ძალიან აირია სიტუაცია. საქართველოდან ათეულობით ეთნიკურ ოსს მოუწია წასვლა. ზოგმა გვარი გამოიცვალა. ზაზას არც გვარი შეუცვლია და არც ქვეყანა დაუტოვებია. მეტიც, ის ყველაფერს აკეთებდა, რომ ქართველები და ოსები შეერიგებინა. ბოლო პერიოდშიც ამ საქმით იყო დაკავებული და ბევრი კარგი საქმეც გააკეთა. ჩრდილოეთ ოსეთში აქედან წასულ ოსებს ქართულ წიგნებს უგზავნიდა, რომ მათ ქართული არ დავიწყებოდათ.

ჩვენი პატრიარქის კურთხევით, ის საქართველოში ოსური დიასპორის ხელმძღვანელად დაინიშნა. ბევრი საქმე გააკეთა და კიდევ ბევრი რამის გაკეთებას აპირებდა.

როცა გაიგო, მცხეთაში ეკლესიას ვაშენებდი, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად და ოსურად აღევლინება, მოვიდა და გვერდში დამიდგა. ძალიან მეხმარებოდა. მშენებელი კაცი იყო და ღირებულ რჩევებს მაძლევდა. ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ამ ქვეყანაში მშვიდობა ყოფილიყო.

თქვენთან საუბარში ადრე მოვყევი, რომ როცა ეკლესიის მშენებლობა დაიწყო, ქართველებმა და ოსებმა დავიფიცეთ, რომ ჩვენ შორის კონფლიქტს აღარ დავუშვებდით და თუ რამე მოხდებოდა, ჩვენ ჩავდგებოდით შუაში. ზაზამაც დადო ფიცი და ის აუცილებლად გააკეთებდა ამას.

1990-იან წლებში თბილისში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირებები ხალხს ძარცვავდნენ. ზაზამ ყველაფერი გააკეთა, რომ მის მშობლიურ ქუჩაზე ყაჩაღები არ შესულიყვნენ.

***– თქვით, ზაზა ლაზაროვს გულის ოპერაცია რამდენჯერმე ჰქონდა გადატანილი, რატომ დართეთ ნება, რომ საშიმშილოდ დამჯდარიყო.***

– ვეხვეწებოდით, მაგრამ არ დაგვიჯერა. მას ადამიანების და მეგობრების მიტოვება არ ახასიათებდა. ჯავის ქუჩაზე, სადაც დაიბადა და გაიზარდა, ყველას ეხმარებოდა. ვინმეს სახურავი რომ გაუფუჭდებოდა, იქ იყო და როგორ გგონიათ, ამ ბრძოლაში მიგვატოვებდა?

ზაზას მსგავსად ბრძოლაში არ მივუტოვებივართ ნინო კვირიკაძეს. ეს ქალბატონი ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატია ჩვენი ბლოკიდან. მას აქვს დიაბეტი და ამის მიუხედავად, შიმშილობა დაიწყო. 2-დღიანი შიმშილობის შემდეგ ის შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ეს ყველაფერი ხდებოდა ცესკოს მისაღებში, სადაც 50 ადამიანი 2 დღის მანძილზე ვშიმშილობდით. ზოგს მშრალი შიმშილობა გვქონდა გამოცხადებული. ქალბატონი თამარ ჟვანია არც ერთხელ არ დაინტერესებულა ჩვენი მდგომარეობით. არადა ამ ადამიანის გადაწყვეტილების გამო დავიწყეთ შიმშილობა. ის ვალდებული იყო მოსულიყო.

მინდა ყველას შეგახსენოთ, რომ მისი ხელფასი არის 25.000. მე პირადად არანაირი სურვილი არა მაქვს, რომ როგორც გადამხდელმა, ამ პიროვნებას ხელფასი ვუხადო. ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების შემდეგ კი, დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა ჩემს პოზიციას გაიზიარებს. ამ ქალბატონს ჩვენ ვუხდით ხელფასს, ის კი აირაის, ენდიაის და ვიღაც ჯანდაბების დაკვეთას ასრულებს. ჩვენი რეგისტრაციიდან მოხსნაც მათი დავალება იყო. მან მითითებები მიიღო ამერიკის საელჩოდანაც.




***– აშშ-ს საელჩოს, ენდიაის და აირაის რატომ უნდა სდომებოდათ თქვენი რეგისტრაციიდან მოხსნა?***

– აშშ-ს საელჩოს ჩვენი საარჩევნო ბლოკი დიდად არ მოსწონს. ისინი იმის გამო ღიზიანდებიან, რომ ჩვენ რუსეთთან დიალოგი გვინდა. განსაკუთრებული აგრესია მათ პარტია „ჩვენი სამშობლოს“ მიმართ აქვთ.

***– მიზეზი?***

– ზაფხულში ჩვენ დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება ნაციონალური მოძრაობის გასამართლების მოთხოვნით. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ყოფილ ხელისუფლებას ღიად და დაუფარავად მფარველობს ამერიკა და მისი საელჩო საქართველოში.

ჩვენ აშშ-ს საელჩოსთან საპროტესტო აქცია გავმართეთ და მოვითხოვეთ, რომ შეეწყვიტათ დამნაშავე რეჟიმის მფარველობა. თავის დროზე სწორედ მათ მოგვახვიეს თავზე კოაბიტაცია და ამის გამო ვერ მოხერხდა დამნაშავეების გასამართლება. ჩვენ ნიღაბი ჩამოვხსენით საელჩოს და აი, ეს არ გვაპატია ამერიკამ,

***– რატომ ფიქრობთ, რომ მიზეზი ეს აქციაა?***

– ამერიკის საელჩოდან დაგვიბარეს, მას შემდეგ, რაც საქართველოში საელჩო გვაქვს, ჩვენს მიმდებარე ტერიტორიაზე ძაღლიც ვერ ბედავს დაყეფებას და თქვენ როგორ გაბედეთ აქციის მოწყობაო.

მე ამ საელჩოდან ბევრი ინფორმაცია მომდის და ვიცი, როგორი გამწარებულები არიან.

ცესკოს მიერ გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილების გამო, კიდევ ბევრ აქციას გავმართავთ. დაუშვებელია დამოუკიდებელი ქვეყნის ცესკო ვიღაცის მიერ იმართებოდეს. სანამ ასე იქნება, ქვეყანაში არჩევნები სამართლიანად ვერ ჩატარდება.

***– მოდით, ისევ რეგისტრაციიდან მოხსნის ამბავს დავუბრუნდეთ, ყველაფერი წესრიგში გქონდათ?***

– ყველაფერი წესრიგში გვქონდა. არანაირი ვადები არ დაგვირღვევია და არც არანაირი შეცდომა არ მოგვსვლია. ამას ცესკოს თანამშრომლებიც ადასტურებდნენ. მხოლოდ თამარ ჟვანია ითხოვდა რეგისტრაციიდან ჩვენს მოხსნას. მას ეს ენდიაიმ, აირაიმ და ამერიკამ დაავალეს.

ცესკოს გადაწყვეტილება რომ უსამართლო იყო, ეს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც დადასტურდა. ამ სამართლიანი გადაწყვეტილებისთვის მე მოსამართლე ეკატერინე ჯინჭველიშვილს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბათილად არის ცნობილი ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება, რომლის თანახმადაც საარჩევნო ბლოკი „თოფაძე-მრეწველები ჩვენი სამშობლო“ რეგისტრაციიდან მოიხსნა.

იმავე გადაწყვეტილებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაევალა, გამოსცეს ახალი განკარგულება, რომლის თანახმადაც „თოფაძე-მრეწველები ჩვენი სამშობლო“ საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდება და ასევე გატარდება მისი პროპორციული სია.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ასევე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაეკისრა 100 ლარი საარჩევნო ბლოკ „თოფაძე-მრეწველები ჩვენი სამშობლოს“ სასარგებლოდ, რაც საარჩევნო ბლოკმა სასამართლოში სარჩელის შეტანის მიზნით დახარჯა.

მგონი ეს გადაწყვეტილებაც კარგად აჩვენებს იმას, თუ რა უსამართლობასთან გვქონდა საქმე. ჩვენ ვიბრძოლეთ და მიზანს მივაღწიეთ. ამ ბრძოლის დროს დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია სასწორზე საკუთარი სიცოცხლე დავდოთ. ჩვენ მზად ვართ, სამართლიანობისთვის ბრძოლას შევეწიროთ.

წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ არჩევნებზეც ბევრ უსამართლობას შევხვდებით, მაგრამ ამასაც კანონით დავუპირისპირდებით. მთავარია ხალხმა ჩვენი დაიჯერა და ჩვენ მათ იმედებს არ გავუცრუებთ.

***– ყველა პარტია ასე ამბობს არჩევნების წინ.***

– ჩვენ ყველა პარტია არ ვართ და ეს დავამტკიცეთ. მომავალშიც ასე იქნება. ჩვენთვის მთავარი სამართლიანობა და ამ ქვეყნის სრული დამოუკიდებლობაა. ამერიკისთვის სწორედ ამიტომ ვართ მიუღებელი. მათ არ უნდათ, რომ საქართველო მართლაც თავისუფალი ქვეყანა იყოს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ რუსეთის წინააღმდეგ იარაღად ვეღარ გამოგვიყენებენ.

ხშირად იმის გამო მიყენებენ პრეტენზიას, რომ რუსეთის მოქალაქე ვარ. ამის გამო თვლიან, რომ პრორუსული ვარ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ვცხოვრობ, თავს პროქართული ორიენტაციის ადამიანად ვთვლი. იგივე შემიძლია ვთქვა ჩემს თანაპარტიელებზე.

ის ხალხი, ვინც ჩვენ პრორუსულებად მოგვიხსენიებს, თავად არიან პრორუსულები. ისინი რუსეთში ყველაზე ანტიქართულ ძალებთან თანამშრომლობენ. მე მართალია რუსეთში ვცხოვრობ, მაგრამ არც სტრატეგიული ობიექტები და არც ქართული მიწა რუსეთისთვის არ გადამიცია.

ბევრი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, მე ჩემს სამშობლოს იარაღით ვიცავდი. იმ დროს, როცა მე აფხაზეთში ვიბრძოდი, ეს ვითომ მედასავლეთეები რუსეთში შოულობდნენ ფულს.

მე ფული ჩემი შრომით მაქვს ნაშოვნი და პოლიტიკაში ამისთვის არ მოვსულვარ. ჩემს მიზნად ქართველების, აფხაზების და ოსების შერიგება მიმაჩნია. კარგად ვიცი, რომ ამ მიზნის მიღწევის შემთხვევაში ტერიტორიულ მთლიანობასაც აღვადგენთ.

კარგად ვიცი, რომ წინ დიდი ბრძოლები გველის, მაგრამ ყველაფრისთვის მზად ვართ, მათ შორის, სიკვდილისთვისაც. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ და ამ გამარჯვებას ჩვენს მეგობარს ზაზა ლაზაროვს მივუძღვნით, რომელიც უსამართლობასთან ბრძოლას შეეწირა.



**ზაზა ლაზაროვი ჩვენთან ერთად შიმშილობდა. სამწუხაროდ, ვერ მოესწრო ჩვენს გამარჯვებას**

# პაატა ჯიბლაძე: „ორპარტიული მმართველობა არ გამოვა“

**მიუხედავად იმისა, რომ მომავალ პარლამენტში მოხვედრის შანსი რამდენიმე ძალას გაუჩნდა, მაინც ბევრი საუბარია იმაზე, რომ „ქართულ ოცნებას“ ხელს აძლევს ორპარტიულობა. ითვლება, რომ ისევ იქმნება ოპროლუსიანი ვითარება, როცა მმართველი პარტიის ერთადერთი მოწინააღმდეგე ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა. მემარცხენე ალიანსის პოლიტიკური მდივანი პაატა ჯიბლაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ აქ მთავარია მოსახლეობა, რომელსაც ორპარტიულობა არ სურს.**

მარიამ მჭედლიშვილი

**პაატა ჯიბლაძე:**

– შეიძლება „ქართულ ოცნებას“ ძალიანაც უნდა, რომ მისი ერთადერთი კონკურენტი ასაკრძალი ნაციონალური მოძრაობა იყოს, მაგრამ ეს მიუღწეველი ამოცანაა. „ქართულ ოცნებას“ მომავალ პარლამენტში ორპარტიულობა არ გამოუვა. 2016 წელს არჩეული საკანონმდებლო ორგანო არ იქნება ახლანდელი პარლამენტის გამეორება. მოსახლეობას არანაირი სურვილი არა აქვს, რომ ქვეყნის მართვა ორ პარტიას მიანდოს.

აქედან ერთი დამნაშავე ორგანიზაციაა. ქვეყანაში არიან აქტიური პოლიტიკური ძალები, რომლებსაც აქვთ პარლამენტში მოხვედრის შანსი. ხალხის დიდ ნაწილში იმედგაცრუებაა დღევანდელი ხელისუფლებით. ადამიანებს არც ნაცმოძრაობის დაბრუნება უნდათ. ეჭვს არ იწვევს ის, რომ ხალხს მხოლოდ ამ ორი ძალის ხელისუფლებაში ყოფნა არ უნდა. ორპარტიულობისგან თავის დასაღწევად ყველაზე კარგი საშუალებაა ამომრჩევლის აქტივობა. ამომრჩეველი აუცილებლად უნდა მივიდეს არჩევნებზე.

***– პოლიტიკური კლასის შეცვლის მიზნით მიმდინარე კამპანია არ შეუშლის ხელს სხვა ძალების მოხვედრას პარლამენტში?***

– პოლიტიკური კლასის შეცვლაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. ამ პროცესის უნდა ეშინოდეს იმას, ვინც გასვრილი და კომპრომეტირებულია. მემარცხენე ალიანსი სამი წელიწადია არსებობს. ცუდი სახელი არ გვაქვს. მთლიანობაში, ჩვენ, პარტიის წარმომადგენლები, პოლიტიკაში 20 წელია ვართ. ჩვენზე კომპრომატებს ვერ დადებენ. პოლიტიკური კლასის შეცვლაზე ლაპარაკიც არ გვაშინებს.

***– საუბარია იმაზე, რომ პოლიტიკაში სრულიად ახალი სახეები უნდა მოვიდნენ..***

– ეს საუბრები და მცდელობები, როგორც გითხარით, დაკავშირებულია კომპრომატებთან. სანამ იარსებებს პოლიტიკა, იქნება კომპრომატების ომიც. საქართველოს პოლიტიკაში მარტო პატიოსანი ხალხი არაა. არიან ისეთი პირები, რომელთა მიზანი ფულის კეთებაა. მათ ქვეყანა, მისი ტერიტორიული მთლიანობა, ხალხის გაჭირვება, საერთოდ არ აინტერესებთ. მათთვის მთავარია გამდიდრება. ასეთები თუ სხვაგან გადაინაცვლებენ, კარგი იქნება.

***– ნაცმოძრაობას ასაკრძალი პარტია უწოდეთ. ამ პარტიის მოწინააღმდეგე ორგანიზაცია არც ისე ბევრი უნდა იყოს..***

– სიმართლე გითხრათ, ეს არ მაინტერესებს. არ ვიძიებ, ვინ რას ამბობს ნაციონალურ მოძრაობაზე, ან ვინაა ჩადენილ დანაშაულებზე გაჩუმებული. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პარტიების ნაწილი გასუსულია. როგორც ჩანს, ეს ადამიანები ელიან, რომ დამნაშავე ნაციონალური მოძრაობა და მათი არაოფიციალური ლიდერი სააკაშვილი მათ რაღაცას გადმოუგდებს. ფული ნაციონალებს უამრავი აქვთ. მათ ნაძარცვი არ დაუბრუნებიათ. ისინი ამ უკანონო ფულს მომხრეებისთვისაც ხარჯავენ. მემარცხენე ალიანსი აგრძელებს ნაცმოძრაობის საწინააღმდეგო სარჩელზე მუშაობას. ეს ხანგრძლივი პროცესი გამოდგა. ჩვენი მიზანია ამ სარჩელის საფუძველზე ნაციონალური მოძრაობის აკრძალვა. ნაცმოძრაობის საარჩევნო რეგისტრაციიდან მოხსნის მოთხოვნით ცესკოსაც მივმართეთ. ნაციონალებს ჰყავთ თავიანთი არასამთავრობო ორგანიზაციები და სატელიტები პოლიტიკურ ორგანიზაციებში, რომლებსაც ისინი აფინანსებენ. სატელიტები უნისონში იმეორებენ იმას, რასაც ამბობს ნაცმოძრაობა.

***– მაგალითად?***

– ამის გარკვევას გამოძიებაც არ სჭირდება. გადახედეთ ნაცმოძრაობის ტელევიზია რუსთავი 2-ს და იმათ, ვისაც გადაცემებში ლამის ყოველდღე იწვევენ. ესენი არიან ნაცმოძრაობის სატელიტები. მაგალითისთვის მხოლოდ ორ სუბიექტს დავასახელებ – პაატა ბურჭულაძის ბლოკს და შალვა ნათელაშვილს. ლეიბორისტულ პარტიაში პატიოსანი ხალხიც დარჩა, მაგრამ პარტიის ლიდერი – ნათელაშვილი დიდი ხანია სააკაშვილისგან ფინანსდება. ბურჭულაძე ბლოკის შექმნამდეც იყო რუსთავი 2-ის გაძლიერებული ყურადღების საგანი. ნაცმოძრაობისგან შორს არ ყოფილან ისინიც, ვინც ბურჭულაძემ შეიერთა.



## გიორგი მღებრიშვილი: „შსს სრულ მზადყოფნაშია, უზრუნველყოს სამართლიანი და დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემო“

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო მისიის თავმჯდომარეს, ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკური ჯგუფის პრეზიდენტს, ემანუელის ზინგერისს და მისიის სხვა წარმომადგენლებს შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, შეხვედრაზე შს მინისტრმა სტუმრებს 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების რიგგარეშე და შუალედური არჩევნების უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით მის მიერ გამოცემული სპეციალური ბრძანება გააცნო.



როგორც გიორგი მღებრიშვილმა აღნიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტრო დამატებით ღონისძიებებს განახორციელებს, კერძოდ, საქართველოს თითოეულ რეგიონში საპოლიციო დანაყოფების შესაბამისი ხელმძღვანელი პირებისაგან შეიქმნება პასუხისმგებელი ჯგუფები, რომლებიც საარჩევნო პერიოდში და, აგრეთვე, არჩევნების დღეს მოსალოდნელი საფრთხეების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და რისკების შეფასებას უზრუნველყოფენ.

შს მინისტრმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო მისიის დელეგაციასთან საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არჩევნების მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩატარება, მოქალაქეთა და პოლიტიკური პარტიების თავისუფალი ნების გამოხატულების უზრუნველყოფა, ყველა საერთაშორისო დემოკრატიული ნორმების დაცვით. გიორგი მღებრიშვილის თქმით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან ერთად დაგეგმილია საარჩევნო პერიოდში თანამშრომლობის დეტალური გეგმის და მოსამზადებელი სამუშაოების განხილვა.

– შინაგან საქმეთა სამინისტრო სრულ მზადყოფნაშია, უზრუნველყოს სამართლიანი და დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემო, – განაცხადა შეხვედრაზე შს მინისტრმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ხათუნა ლაგაზიძე: „ჩანაწერი ადასტურებს, რომ პაატა ბურჭულაძე ვერავისთვის იქნება სანდო პარტნიორი“



– ჩანაწერი ადასტურებს, რომ პაატა ბურჭულაძე ვერავისთვის იქნება სანდო პარტნიორი, მით უმეტეს კი, ხალხისთვის პაატა ბურჭულაძე პოლიტიკოსად ვერ შედგა და მთელი ეს წამოწყება მისთვის მხოლოდ ბიზნესპროექტი იყო.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ ყოფილმა წევრმა ხათუნა ლაგაზიძემ ბურჭულაძე-გვარამიას საუბრის ჩანაწერის კომენტირებისას განუცხადა.

– ამ ჩანაწერიდან გამომდინარე რამდენიმე რაღაცაზე შეიძლება ვიმსჯელოთ. ერთი გახლავთ ის, რომ პაატა ბურჭულაძე ვერ შედგა პოლიტიკოსად;

მეორე – მისთვის მთელი ეს წამოწყება, სამწუხაროდ, იყო არა იდეის გარშემო და შორსმიმავალ პოლიტიკურ გეგმებზე ორიენტირებული გაერთიანება, არამედ წმინდა წყლის ბიზნესპროექტი, საიდანაც გარკვეული სარგებელი უნდა ენახა;

მესამე – ჩანაწერი ადასტურებს იმას, რომ პაატა ბურჭულაძე ვერავისთვის იქნება სანდო პარტნიორი და მით უმეტეს, საკუთარი ხალხისთვის, რაც მართლაც გულდასაწყვეტია, იმიტომ, რომ ამ სიტუაციაში ის ყველაზე მეტად საკუთარ ხალხთან არის პასუხისმგებელი იმ იმედგაცრუებისთვის, რომელიც საზოგადოებაში გააჩინა, – განაცხადა ლაგაზიძემ.

მისივე თქმით, ყველა ტელევიზიას, სააგენტოს, გაზეთს აქვს თავისი სარედაქციო პოლიტიკა და დღეს გამოქვეყნებულ ჩანაწერში არაფერია ისეთი, რაც ამ სარედაქციო პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობას სცდება.

რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკა, როგორც ნიკა გვარამია აცხადებს, არის პროდასავლური ძალების მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე ისეთი რამ, რაც ამ ფარგლებს – პროდასავლური პარტიების მხარდაჭერის ფორმატს – სცილდება, მე სიმართლე გითხრათ, ვერ დავინახე.

ეს არის პარტნიორებს შორის საუბარი, რომელთა პარტნიორობასაც საფუძვლად ედო პაატა ბურჭულაძის პარტიის პროდასავლური კურსი, – დასძინა ლაგაზიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## ირაკლი სესიაშვილი: „ნიკა გვარამია პაატა ბურჭულაძეს, როგორც ბატონი ყმას, ისე ელაპარაკებოდა“

– დარწმუნებული ვარ, ის ჩანაწერი, რაც დღეს გამოქვეყნდა, ნიკა გვარამიას შემოქმედება და მისი მონტაჟია.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თელავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირაკლი სესიაშვილმა რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას და მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერის, პაატა ბურჭულაძის სატელეფონო საუბრის საკითხზე კომენტირებისას განაცხადა.

როგორც სესიაშვილმა ტვ პირველის ეთერში აღნიშნა, აქ მთავარი კითხვა არის ის, ვის ინტერესში შედიოდა ამ ჩანაწერის გავრცელება.

– ის, რომ რუსთავი 2 პოლიტიკური მედიასაშუალებაა და არა თავისუფალი და დამოუკიდებელი, ეს თავად ნიკა გვარამიამ დაადასტურა. ის, რომ პაატა ბურჭულაძე თავისი კოალიციით არის ნაციონალური მოძრაობა 2, ესეც ყველასთვის ცნობილია.

დიახ, ნაციონალური მოძრაობის, ნიკა გვარამიას და პაატა ბურჭულაძის ინტერესში შედის სტერეოტიპი, რომ „ისევ გვისმენენ“ აქტუალური იყოს. დიახ, სწორედ ამიტომ გამოქვეყნდა დღეს, მით უმეტეს, როდესაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო მისია ჩამობრძანდა და ბატონმა ნიკამ და პაატამ სიურპრიზად დაახვედრეს ეს ჩანაწერი. სწორედ ამიტომ, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ის ფირი, რაც გამოქვეყნდა, ნიკა გვარამიას შემოქმედებაა და მისი მონტაჟია, იმიტომ, რომ ყველაზე კარგად მონტაჟს თავად ახდენენ, – განაცხადა სესიაშვილმა.




მისივე თქმით, იმ ტონით, რა ტონითაც ჩანაწერში ნიკა გვარამია პაატა ბურჭულაძეს ესაუბრება, მედიის წარმომადგენელი პოლიტიკოსს არ ესაუბრება.

ნიკა გვარამია, როგორც ბატონი ყმას, ისე ელაპარაკებოდა. სირცხვილია უბრალოდ, – აღნიშნა ირაკლი სესიაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ნიკა გვარამია: „ჩანაწერი არის დამონტაჟებული“



რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებით, „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერ პაატა ბურჭულაძესა და მას შორის კიდევ ერთი საუბარი შედგა.

როგორც გვარამიამ აღნიშნა, გამოქვეყნებული ჩანაწერი არის დამონტაჟებული, რადგან მასში ამოჭრილია ის ფრაზა, როცა ბურჭულაძე ამბობს, რომ ის არც სააკაშვილის არის და არც ივანიშვილის.

– დღეს მესაუბრა ბატონი პაატა, რამდენიმე წუთის წინ მესაუბრა შალვა ნათელაშვილიც რაღაც საქმეზე და შეუძლიათ, ესეც გამოაქვეყნონ.

მე არ მისმენია ამ ჩანაწერისთვის თავიდან ბოლომდე. ბატონმა პაატამ მითხრა, რომ ამ საუბარში არ არის ის მომენტი, როდესაც ის მეუბნება, რომ მე არც სააკაშვილის ვარ და არც ივანიშვილის და, შესაბამისად, არ ვიწონებ თუ ეს ნამდვილად თქვა მეგრელიშვილმაო. ხო დაადასტურებ ამასო და მე ნამდვილად ვადასტურებ ამას. ეს ბატონმა პაატამ ამ საუბარში არაერთხელ გაიმეორა. ეს ნამდვილად იყო ამ საუბარში.

თუ ამ საუბარში ეს არ არის, უკანონო ჩაწერასთან და გამოქვეყნებასთან ერთად, დამონტაჟებულიც არის. ეს შედის იმის ინტერესში, ვინც ცდილობს აჩვენოს, რომ პაატა ბურჭულაძე არის სააკაშვილთან, რუსთავი 2-თან დაკავშირებული. ეს ძალა არის ხელისუფლება ვის ინტერესშიც ეს შედის“, – განაცხადა გვარამიამ.

**ინტერპრესნიუსი**

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ძუძუს კიბოსთან ბრძოლის კამპანიის პირველი ტური დასრულდა

**ლიბერთი ბანკის პარტნიორობითა და კომპანია ეივონ (AVON) კოსმეტიქს საქართველოს ეგიდით, საქართველოში მიმდინარეობს კამპანია – „ერთად ვიბრძოლოთ ძუძუს კიბოს წინააღმდეგ – შემოგვიერთდით!“.**

ლიბერთი ბანკი, საკუთარი მომსახურების არხების მეშვეობით, შერჩეულ რეგიონებში ავრცელებს კომპანია ეივონთან ერთად შემუშავებულ საგანმანათლებლო ლიტერატურას თვითშემოწმებისა და სკრინინგის საჭიროების შესახებ. დამატებით, ლიბერთი ბანკის მომსახურების არხების მეშვეობით, მომხმარებელი იღებს ინფორმაციას, თუ როდის ეწვევა მის სოფელთან თუ ქალაქთან ახლომდებარე დასახლებას კომპანია ეივონის მობილური კლინიკა.




ძუძუს კიბოსთან ბრძოლის კამპანია 2016 წლის 15 აგვისტოდან დაიწყო. კამპანიის პირველი ტურის ფარგლებში, მობილური კლინიკები უკვე ეწვია რაჭასა და სვანეთს, სადაც 250-ზე მეტ ქალბატონს ჩაუტარდა უფასო კონსულტაცია, ექოსკოპიური გამოკვლევები და მამოგრაფიული დიაგნოსტიკა. მეორე ტური დაგეგმილია ოქტომბრის თვეში, გურიასა და სამეგრელოში.

ძუძუს კიბო ერთ-ერთი ყველაზე ხშირი დაავადებაა ქალებში, ამავე დროს, ადრეულ სტადიაში აღმოჩენისას, 10-დან 8 შემთხვევაში – დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღება შესაძლებელია. მუდმივი თვითშემოწმება და სკრინინგი, საგრძნობლად ამცირებს კიბოს განვითარების რისკს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტმა ქალბატონმა მიიღოს ინფორმაცია თვითშემოწმების მეთოდებისა და სკრინინგის შესახებ.

– მოხარული ვართ, რომ ჩვენი პროექტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა იმ დასახლებებისთვის, სადაც შესაბამისი ინფრასტრუქტურა ნაკლებად არის განვითარებული. ჩვენი მომსახურებით, პირველ ტურში უკვე 250 -ზე მეტმა ქალბატონმა ისარგებლა და ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება, როდესაც ჩვენი მობილური კლინიკა სხვა რეგიონებშიც გადაინაცვლებს და მიმდინარე წლის ბოლომდე სამეგრელოსა და გურიის მხარესაც დავფარავთ, – აღნიშნა კომპანია ეივონ კოსმეტიქს საქართველოს მარკეტინგის მენეჯერმა, გიგა ვაშაკიძემ.

– ძუძუს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქალბატონთა ინფორმირების ზრდაა. ამ კამპანიაში ჩართვით, ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტ ქალბატონს მივაწოდოთ ინფორმაცია როგორც მობილური კლინიკის ვიზიტის შესახებ, ასევე ყველა იმ საშუალების შესახებ, რისი გამოყენებაც ქალბატონებს ძუძუს კიბოს განვითარების თავიდან ასაცილებლად შეუძლიათ. მოხარული ვართ, რომ ჩვენი მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს ამ კეთილ საქმეში, – აღნიშნა ლიბერთი ბანკის სტრატეგიული გაყიდვებისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსმა, ნინო თავაძემ.

# სანდრა რულოვსი: „სოფლის მოსახლეობა გააფრთხილეს, თუ ჩემთან შეხვედრაზე გამოვლენ, გზას აღარ დააგებენ“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი სანდრა რულოვსი ხელისუფლებას მოსახლეობაზე ზეწოლაში ადანაშაულებს.



როგორც რულოვსმა სოფელ გრიგოლიშში, წინასაარჩევნო შეხვედრაზე ჟურნალისტებს განუცხადა, გუშინ გვიან ღამით სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა სოფლის მცხოვრებლები გააფრთხილეს, რომ თუ სანდრა რულოვსთან შეხვედრაზე მივიდოდნენ, სოფელში დაწყებული გზის მშენებლობა შეჩერდებოდა.

– თქვენ ხედავთ, რომ შეხვედრაზე ცოტა ხალხია მოსული, ეს არა იმიტომ, რომ აქ ცოტა ოჯახი ცხოვრობს, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები და მმართველი პარტიის წევრები მოვიდნენ წუხელ ამ სოფელში და უთხრეს მოსახლეობას, რომ თუ შეხვედრაზე მოვიდოდნენ, გზას აღარ დააგებდნენ გრიგოლიშში. ასეთი სულელური მიდგომებით ძალიან დავიღალე უკვე. ხალხიც მგონი მიხვდა, რომ მსგავსი მიდგომებით ვერაფერს მიაღწევენ, – განაცხადა რულოვსმა.

◆ ◆ ◆

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა წოწერია „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, სანდრა რულოვსის ბრალდებებს პასუხობს.

წოწერია რულოვსთან შეხვედრის შემთხვევაში სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერების შესახებ ინფორმაციას სიცრუეს უწოდებს და განმარტავს, რომ ყველა დაწყებული პროექტი დათქმულ ვადებში დასრულდება.

**ინტერპრესნიუსი**



# თსუ-ის რექტორობის არჩევნებში სამი კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას

თსუ-ის რექტორის არჩევნებში სამი კანდიდატი დარეგისტრირდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დემეტრე ეგნატაშვილმა განუცხადა, რეგისტრირებული კანდიდატები არიან ფილოსოფოსი გიორგი ბარამიძე, განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი შერვაშიძე და უნივერსიტეტის პროფესორი ცირა ბარამიძე.

მისივე თქმით, რექტორობის მსურველთა განცხადებებს აკადემიური საბჭო განიხილავს და რექტორობის კანდიდატს მიმდინარე წლის 23 სექტემბერს აირჩევს.

– უკვე რეგისტრირებულია სამი კანდიდატი: გიორგი ბარამიძე, ცირა ბარამიძე და გიორგი შერვაშიძე.

უნივერსიტეტის განვითარების შესახებ კანდიდატების ხედვებს, ასევე მათ ბიოგრაფიას გადავცემთ აკადემიურ საბჭოს. მოხდება მათი ვებგვერდზე განთავსებაც, რის შემდეგაც 23 სექტემბერს ჩატარდება გასაუბრებები, მოხდება კენჭისყრა და შედეგების გამოცხადება“, – აღნიშნა დემეტრე ეგნატაშვილმა.

ამ დრომდე თსუ-ის რექტორის მოვალეობას დარეჯან თვალთვაძე ასრულებს, რომელიც მოვალეობის შემსრულებლად 2016 წლის 20 აპრილს მას შემდეგ აირჩიეს, რაც უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმირ პაპავამ დაკავებული თანამდებობის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

**ინტერპრესნიუსი**



# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

**ობიექტი №1**

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. წითელხევის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 365 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. წითელხევის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

12 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1,2 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

206 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 16 სექტემბერს დღის 12:.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 15 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 15 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 15 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

**ობიექტი №2**

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა მესხეთის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 365 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა მესხეთის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

12 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1,2 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

210 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 16 სექტემბერს დღის 12:.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 15 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 15 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 15 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

# რატომ არ შექმნა შსს-მ საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო

გულიკო ბალაძე

**ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველი გიორგი თევზაძე ესაუბრება.**

**გიორგი თევზაძე:**

– უნდა ვაღიაროთ, რომ გარკვეულწილად შეიცვალა მიდგომები უკეთესობისაკენ, განსხვავებით წინა ხელისუფლებისაგან, თუმცა, გარკვეული ინდივიდუალური შემთხვევები მაინც სახეზეა, რაც პოლიციის ზოგიერთი თანამშრომლის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებასა და მათი მხრიდან ძალადობის ფაქტებზეც მიგვანიშნებს.

***– ბატონო გიორგი, კონკრეტულად, რას გულისხმობთ?***

– გავიხსენოთ პოლიციის ჩინოსნის მიერ ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ ძალადობის ფაქტი. როცა ამას პოლიციელი ადვოკატის მიმართ განახორციელებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რამდენად შესაძლებელია დაცული იყოს რიგითი მოქალაქის უფლებები პოლიციის განყოფილებაში.

***– თქვენი დაკვირვებით, ძალადობის ფაქტებს რამდენად სისტემური ხასიათი აქვს, როგორც ეს იყო წინა ხელისუფლების დროს?***

– ასეთ ფაქტებს დღეს სისტემური ხასიათი არ აქვს. ამიტომ მივმართეთ შს სამინისტროს ხელმძღვანელობას, შექმნილიყო საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო ან ჯგუფი, რომელიც ასეთი, კონკრეტული ინფორმაციის შემთხვევაში, ადგილზე შეისწავლიდა ფაქტს.

***– ეს რას შეცვლიდა?***

– მათ უშუალოდ უწყების ხელმძღვანელთან ექნებოდათ კომუნიკაციის საშუალება და მიაწვდიდნენ ინფორმაციას. მონიტორინგის ჯგუფში შევიდოდნენ პრაქტიკოსი უფლებადამცველი ორგანიზაციები, რომლებიც წლების მანძილზე უფლებადაცვებით საქმიანობას ეწეოდნენ, გააჩნიათ ადამიანის უფლებების კუთხით მოღვაწეობის პრაქტიკული გამოცდილება და არა ისინი, ვისაც გრანტი აქვს მიღებული დონორი ორგანიზაციებიდან.



***– თქვენი წინადადება არ მიიღეს?***

– სამწუხაროდ, უწყებას ისეთი ინიციატივები ნაკლებად აინტერესებს, რაც უდავოდ უფრო მეტად გამჭვირვალეს გახდიდა უწყებას საზოგადოებისთვის.

***– სამართლიანობის აღდგენის პროცესს როგორ შეაფასებთ?***

– სამართლიანობის აღდგენის კუთხით პრობლემებია. ცოტა ხნის წინ გავავრცელე განცხადება ირაკლი დოკვაძის უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით, რაც ხელისუფლების მხრიდან სამართლიანობის აღდგენის პრობლემაზე მიუთითებს. როგორც ვიცით, ირაკლი დოკვაძე პოლიტპატიმარია. ის იყო პოლიტპატიმართა სიაში, რომელიც შემდეგ რატომღაც ამოიღეს. საქმე ეხება პოლიტპატიმარ ირაკლი დოკვაძის მიმართ წლების მანძილზე წარმოებულ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეს.



ირაკლი დოკვაძე საზოგადოებისთვის გაუგებარი მიზეზების გამო ამოიღეს პოლიტპატიმრების სიიდან, რაც სამართლიან შეშფოთებას იწვევს. მისი საქმიანობა ყოველთვის ეფუძნებოდა ეროვნული ღირებულებების დაცვას. ეს მომდინარეობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან. 1990 წელს იგი არჩეული იყო კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების დამცველად და პოლიტიკური შეხედულებების გამო, გახდა მსჯავრდებული.

წინა ხელისუფლების პერიოდში, ქვეყანაში უსამართლო მართლმსაჯულების არსებობისას, რასაც დღევანდელი ხელისუფლება ყოველთვის ხაზს უსვამს, 2009 წელს იგი კვლავ დაკავებული იქნა ორი პირის, განზრახ დამამძიმებელ გარემოებებში დანაშაულის ჩადენის მცდელობის ბრალდებით. დასასჯელს იხდის 2009 წლის 26 აპრილიდან უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი ბრალდებით.

ირაკლი დოკვაძე დადანაშაულებული იქნა ორი პირის მოკვლის მცდელობისთვის. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე თავიდან ბოლომდე წარიმართა სუბიექტურად და ტენდენციურად, მიუხედავად დაცვის მხარის მრავალი მცდელობისა, სასამართლომ არ შეისწავლა უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებდა მის უდანაშაულობას.

სასამართლომ მიზანმიმართულად არ გამოიკვლია ვიდეოთვალის მიერ უწყვეტ რეჟიმში განხორციელებული ჩანაწერი, რომელიც სადარბაზოს შესასვლელშია დამონტაჟებული და რომლითაც დადგინდებოდა, რომ დოკვაძე შემთხვევის დროს არ იმყოფებოდა დანაშაულის ადგილზე.

სასამართლომ უარი თქვა დნმ-ის ალტერნატიულ ექსპერტიზაზეც და სასამართლოს მხრიდან შეგნებულად დაშვებული იქნა არაერთი სხვა უკანონობა.

იმ უკანონობების ფონზე, ირაკლი დოკვაძე სასამართლომ ცნო დამნაშავედ და სასჯელის ზომად დაუდგინა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მის მიმართ ბრალდების საქმეში გამოკვეთილია წინა ხელისუფლების მხრიდან ირაკლი დოკვაძის პოლიტიკური დევნის ინტერესი, ამიტომაც დოკვაძემ უარი განაცხადა ყველა იმ შეღავათზე, რომელიც დაადგინა მოქმედმა ხელისუფლებამ ამნისტიის კანონით და სხვა საპროცესო მექანიზმებით.

***– ამ საქმესთან დაკავშირებით, თქვენთვის რა რჩება გაურკვეველი?***

– ჩვენთვის გაურკვეველი რჩება ის ვითარება, რომელიც ამჟამად არის შექმნილი ირაკლი დოკვაძის უკანონო მსჯავრდების საქმეზე. წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ გასამართლებული ეს პიროვნება დღესაც, ამ ხელისუფლების მმართველობის პირობებშიც, უკანონო პატიმრად რჩება, რაც ქვეყნის იმიჯზე დადებითად ნამდვილად არ მოქმედებს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ირაკლი დოკვაძე ასეთი მიდგომით განიცდის წამებას და არა სამართლიან დამოკიდებულებას.

# რამაზ საყვარელიძე: „ხელისუფლების ამოცანა ბურჭულაძესთან ბრძოლა არ არის“

ნონა ცაბაძე

***– ბატონო რამაზ, მთელი ინტერნეტ სივრცე დაიპყრო ნიკა გვარამიას და პაატა ბურჭულაძის სატელეფონო საუბრის ჩანაწერმა. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში გრძელდება უკანონო მოსმენები?***

– დიახ, თუკი ჩავთვლით, რომ არ არის ბრძანება გაცემული გვარამიას მოსმენაზე. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ მის ფიგურას კავშირი ჰქონდა ადრე დესტაბილიზაციის პროცესებთან.

***– ანუ შესაძლოა იყოს სანქცირებული გვარამიას სატელეფონო საუბრების მოსმენა?***

– მაშინ, როგორც მე მახსოვს, საქმე აღიძრა და ამ ფონზე უკვე აღარ არის გამორიცხული, რომ ისმინებოდეს. მაგრამ თუკი ისმინება ასეთი სანქცირებული გზით და ხელში ჩაუვარდათ მონაცემი, მაშინ რა უშლის ხელს იმის აღიარებას, რომ აი ჩაგვივარდა ხელში და გთავაზობთ. ამდენად ცოტა გაუგებარი სიტუაციაა ამ თვალსაზრისით.

***– და რა არის ამ ყველაფრის ქვეტექსტი? რომ ჩვენი კაცია ბურჭულაძე?***

– თუ დავაკვირდებით, რას საყვედურობს გვარამია ბურჭულაძეს, ფაქტიურად საყვედურობს გადახრას ივანიშვილისკენ, მაშინ გამოდის ის, რასაც ნაციონალური მოძრაობა იძახის...

***– და რას იძახის?***

– რომ ბურჭულაძის პარტიის შექმნა, ივანიშვილის ძალისხმევის შედეგია.

***– მათი საუბრიდან გამომდინარე ასე რომ ვერ ვიმსჯელებთ? თითქოს მათი კაცი უფრო ჩანს, ისე საყვედურობს.***

– ყოველ შემთხვევისთვის, ასეთი დიალოგი, გაკვირვების საგანი, როგორც ჩანს, არ იყო. ყველამ კარგად ვიცით, რომ დღეს სატელეფონო საუბრის მოსმენა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, ამისთვის სახელმწიფო სტრუქტურები საჭირო სულაც არ არის. თქვენი კითხვისა არ იყოს, ისეთი გაუგებარი საუბარია, ერთის მხრივ იკითხება ნაციონალების გავლენა, ის რომ ნაციონალებს ბურჭულაძეზე საყვედურის უფლება აქვთ და ისიც არ უნდა გამოერიცხოთ, რომ ბურჭულაძე ივანიშვილთან ურთიერთობის მომხრე იყოს ამ ეტაპზე. ამ გამოქვეყნებას ნაციონალებისთვისაც გარკვეული სარგებელი აქვს და ხელისუფლებისთვისაც, თუკი მათ მიაჩნიათ, რომ ბურჭულაძის პარტიას უნდა ებრძოლონ. თუმცა მე მეეჭვება, რომ ხელისუფლებას დღეს ჰქონდეს ბურჭულაძესთან ბრძოლის ამოცანა.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ბურჭულაძის პარტია, იმ მიგრაციების მიერ, მისგან წამყვანი ფიგურების წამოსვლის შემდეგ, ის თავისი რეიტინგით არ უნდა წარმოადგენდეს ხელისუფლებისთვის სახიფათო გუნდს. ბურჭულაძის გაერთიანება დაახლოებით ისეთივე რეიტინგის იქნება, როგორისაც არიან ბარიერის გადალახვისთვის მებრძოლი სხვა პარტიები. ჩემთვის გაუგებარია, ბურჭულაძის გამოყოფა მათ ინტერესებში რატომ უნდა იყოს?!

***– გვესმის შეფასებები, რომ ბოლო პერიოდია მიზანმიმართულად მიმდინარეობს პაატა ბურჭულაძის, როგორც პოლიტიკური ფიგურის ჩაძირვა, განადგურება. ეს ეპიზოდიც ამის გაგრძელებად უნდა ჩავთვალოთ?***

– გააჩნია ამ განადგურების ავტორად ვის ვიგულისხმებთ? მე მგონი, პირველი ავტორი ასეთი განადგურებისა არის თვითონ პაატა ბურჭულაძე. იმიტომ, რომ ანალოგიური რაოდენობა შეცდომებისა, ასე მოკლე ხანში, არც ერთ პოლიტიკურ ფიგურას არ დაუშვია. გაუგებარი ნაბიჯები, მცდარი ნაბიჯები, ქაოტური მოქმედება, სადაც პოლიტიკური სტრატეგიის წაკითხვა ძნელია.

***– ანუ არ არის მისი ადგილი პოლიტიკაში და ამას უმტკიცებენ?***

– არავინ არ უმტკიცებს, თვითონ აკეთებს ამ ყველაფერს იმიტომ, რომ არც ერთი იმ ადამიანთაგანი, ცნობილი ფიგურები, ვინც წამოვიდნენ ბურჭულაძისგან, ნამდვილად არ არიან ლოიალურად განწყობილნი ხელისუფლების მიმართ. პირიქით, კრიტიკულები არიან. ასე რომ, მე ვერ ვხედავ ვინმე სხვის მცდელობას იმისას, რომ, არიქა, გამოაცალონ ბურჭულაძეს რაღაც ძალები.

ბურჭულაძეს რომ არ გადაედგა ნაბიჯი ნაციონალური მოძრაობისკენ, ამ ახალი ფორმისკენ, რასაც გირჩისა და ვაშაძის ალიანსი ჰქვია, მსგავსი არაფერი მოხდებოდა. შეთქმულების თეორიის მოგონება ამ სიტუაციაში, როცა ბევრი მხარდამჭერი არ ჰყავს ნაციონალურ მოძრაობას, ეს ყველაფერი გასაკვირი არ უნდა იყოს. ამ ჩანაწერის ამოტივტივებას რაც შეეხება, ეს ნაციონალების ინტერესში უფროა, ვიდრე ხელისუფლების თუ ინტერესებს შევყვებით და რატომ?!

***– რატომ?***

– მას მერე, რაც იკვეთება ნაციონალურ მოძრაობასთან ბურჭულაძის სიახლოვე, დიდი შანსია, რომ ბურჭულაძემ იგივე ელექტორატი წაიყვანოს, რომელზედაც მუშაობს ნაციონალური მოძრაობა. ისე რომ, ეს ნაციონალობის იარლიყი ყოფს ნაციონალების ხმებს.

***– და ეს არ აწყობთ ნაციონალებს?***

– რასაკვირველია და სწორედ მათ ინტერესშია, რომ ეს იარლიყი ჩამოაცილოს ბურჭულაძეს და მიაწებოს ნებისმიერ სხვას. მათ შორის, უპირველესად რაც სჭირდება, ეს არის ივანიშვილთან ურთიერთობის იარლიყი, რომ ივანიშვილს წაართვას ხმები და არა ნაციონალურ მოძრაობს. დღეს ბურჭულაძე აღიქმება, როგორც დაგდებული, ჩართული მტვერსასრუტის მილი, რომელიც საით გადავარდება და საიდან მოხიკავს ხმებს, კაცმა არ იცის. ამიტომ ყველა ცდილობს, რომ გადააგდოს ეს ხმების შემსრუტავი ინსტრუმენტი მეტოქის ბაღში.

***– ამ ყველაფრის შემდეგ ბურჭულაძე ხმების შემსრუტავის ფუნქციას შეასრულებს?***

– ამ ყველაფრის შემდეგ დიდი ეჭვი მაქვს, რომ ბევრს ვერაფერს შეისრუტავს, მაგრამ მანდაც ნაციონალების ხელწერა იკითხება. ისინი სკურპულოზურები არიან, არც ერთი ხმის დაკარგვა არ უნდათ ხოლმე. თავის დროზე, როცა ბურჭულაძემ ყრილობა ჩაატარა და მის წარმოთქმულ სიტყვაში იგრძნობოდა ნაციონალებისკენ გადახრა, მეორე დღესვე, მაჭავარიანმა საჯაროდ განაცხადა, ალიანსი შევკრათ, ჩვენ თანახმა ვართო. სწორედ იმიტომ, რომ ხმები არ გაყოფილიყო. მაშინ ბურჭულაძემ ამაზე უარი თქვა.

***– მაშინ რატომ თქვა უარი?***

– სწორედ ამიტომ ვამბობ, ქაოტურად მოქმედებს ბურჭულაძე. ამოცანა დღესაც იგივეა და ეს უფრო მწვავედ დგას. იმდენად მწვავედ მიუწვება ბურჭულაძეს ნაციონალების იარლიყი, რომ ის აშკარად წამლება რაღაცა



რაოდენობა ხმებისა. ხოლო ნაციონალები არც ერთ ხმას ადვილად არ თმობენ. ამ შემთხვევაშიც იბრძვიან საკუთარი ხმების დაბრუნებისთვის, რომელიც ბურჭულაძემ წაართვა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

**ქალბატონი ქეთათო**

# ბარაქ ობამა ჰილარი კლინტონის წინასაარჩევნო ღონისძიებას გაუძღვა




ფილადელფიაში ჰილარი კლინტონი თავის ამომრჩეველს უნდა შეხვედროდა. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტობის კანდიდატის ავადმყოფობის შესახებ გამოაცხადეს, ბევრს ეგონა, რომ შეხვედრა ჩაიშლებოდა. ქალბატონ ჰილარის ფილტვების ანთება აღმოაჩნდა.

მიუხედავად ამისა, შეხვედრა ფილადელფიაში მაინც შედგა, თუმცა ამომრჩეველს ქალბატონ ჰილარის ნაცვლად, აშშ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტი ბარაქ ობამა შეხვდა.

– საქმე მხოლოდ ის არაა, რომ ჰილარი კლინტონი ჩემი თანაპარტიელი და თანამოაზრეა. ის საუკეთესო პრეზიდენტი იქნება, მე ვიტყოდი, საუკეთესო ამერიკის ისტორიაში, – განაცხადა ობამამ.

შეკრებილნი ამ სიტყვებს აპლოდისმენტებით შეხვდნენ. თავისთავად სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ მოქმედმა პრეზიდენტმა, რომლის გრაფიკიც უაღრესადაა გადატვირთული, გამოძებნა დრო, რომ თავისი კოლეგისათვის მხარი დაეჭირა.

– მე მითხრეს, რომ ამ შეხვედრას სხვა გაუძღვებოდა, მაგალითად, ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი. მე ვუპასუხე, ჩემი მოქალაქეობრივი ვალია, რომ ჰილარის მხარი დავუჭირო, – თქვა ობამამ.

აშშ-ს პრეზიდენტმა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დეტალური ანალიზი გააკეთა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ შიდა პოლიტიკაში მნიშვნელოვანი სასიკეთო ძვრებია. ამერიკის ეკონომიკა მსოფლიოში კვლავაც უდიდესია. შემცირდა უმუშევრობა. მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა კიდევ უფრო ამაღლდა. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ობამა ტერორიზმისა და ექსტრემიზმის პრობლემაზე შეჩერდა. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს პრობლემა მართლაც უაღრესად მწვავედ დგას. მიუხედავად ამისა, დღეს არ არსებობს ძალა, რომელიც ამერიკას თავს დაესხმება.

– ჩვენ ამის მიღწევა შევძელით, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ობამამ აღნიშნა, რომ ამაში დამსახურება მის მთელ გუნდს მიუძღვის. მათ შორის ჰილარი კლინტონსაც, რომელიც ერთ ხანს სახელმწიფო მდივნად მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობით დიპლომატიურ ფრონტზე სერიოზული გამარჯვებებია მოპოვებული. ობამამ თქვა, რომ დაწყებული საქმეები ბოლომდე უნდა მივიდეს და ამას ყველაზე უკეთ თავს გაართმევს მისის ჰილარი კლინტონი, რომელსაც გააჩნია გამოცდილება, ინტელექტი, ნებისყოფა, რომელიც როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ყველა ნიუანსში ბრწყინვალედ ერკვევა.

– ამიტომაც ის პრეზიდენტის პოსტზე საუკეთესო კანდიდატურაა, – ამბობს ობამა.

შეხვედრამ ბრწყინვალედ ჩაიარა. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ამან ჰილარი კლინტონის პოზიციების განმტკიცებას შეუწყო ხელი. უკანასკნელ ხანს ქალბატონ ჰილარის გარშემო სკანდალები აზვირთდა, შედეგად თუ აგვისტოს დასაწყისში ჰილარი კლინტონი ტრამპს 8 პროცენტით უსწრებდა, სექტემბრის დასაწყისისათვის ეს განსხვავება 2 პროცენტი გახდა. ფილადელფიის შეხვედრის შემდეგ ჰილარი კლინტონმა დამატებითი ქულა ჩაიწერა.

– ამჟამად კლინტონს მხარს 48 პროცენტი უჭერს, ტრამპს 44, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

## დონბასი: სეპარატისტები ცეცხლის შეწყვეტის პირობას დებენ



უკანასკნელი დღეების განმავლობაში დონბასში მდგომარეობა გამწვავდა. მიუხედავად სიჩუმის რეჟიმისა, სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები უკრაინელებს ცეცხლს უხსნიდნენ. უკრაინელები მინსკის შეთანხმებებს განუხრელად იცავდნენ და საპასუხო ცეცხლის გახსნისაგან თავს იკავებდნენ. ამან მტერი გაათამამა. დაიწყო უკრაინელთა პოზიციების საარტილერიო დაბომბვა. უკანასკნელი ბომბარდირების შედეგად 3 უკრაინელი სამხედრო დაიღუპა, 15 დაიჭრა.

– სიჩუმის რეჟიმის შემდეგ ეს ჩვენი ყველაზე სერიოზული დანაკარგებია, – იტყობინება 112 არხი.

უკრაინელები იძულებულნი გახდნენ საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ. მტერმა შესაბამისი პასუხი მიიღო. დაიღუპა 6 რუსი ჯარისკაცი, დაიჭრა – 19. რუსებმა უკან დაიხიეს. მაშინ დონბასელ სეპარატისტთა ლიდერმა ზახარჩენკომ განაცხადა, რომ გასცა განკარგულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

– აღნიშნული ნაბიჯი ზახარჩენკომ მას შემდეგ გადადგა, რაც ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების განახლების საფრთხე რეალურად გამოიკვეთა, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

## რუსეთი და აშშ სირიაში ერთობლივი ოპერაციის განხორციელებისათვის ემზადებიან



სირიაში რუსეთ-აშშ-ს ერთობლივი სამხედრო ოპერაცია მზადდება. ამის თაობაზე აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალების ცენტრალური სარდლობის წარმომადგენელმა, გენერალმა ჯეფრი ჰარიგანმა განაცხადა.

– მიზანი ისლამისტი ექსტრემისტების განადგურებაა. აქედან, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ალ-ნუსრა, „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ და სხვა ტერორისტული ორგანზაციები, – თქვა ჰარიგანმა.

ამავე დროს გენერალმა აღნიშნა, რომ მშვიდობა სირიაში მყიფეა. ამიტომ უნდა გავიდეს ერთი კვირა, სანამ შეიქმნება ერთობლივი რუსეთ-აშშ-ს ცენტრი, რომელიც ერთობლივ ანტიტერორისტულ ოპერაციას კოორდინირებას გაუწევს.




## ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი საავადმყოფოში მოათავსეს

ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი შიმონ პერესი ჰოსპიტალიზებულია. მას ინსულტის დიაგნოზი დაუსვეს. თანახმად „დოიჩე ველეს“ ინფორმაციისა, პერესის მდგომარეობა მძიმეა. ის აპარატთანაა შეერთებული.



## გერმანიაში ტერორისტები აიყვანეს

გერმანიის პოლიციამ ტერორისტების ექვსკაციანი ჯგუფი დააპატიმრა. მათ გერმანიაში სირიიდან შეაღწიეს კონტრაბანდისტებთან ერთად.

– გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები დაკავშირებულნი იყვნენ ჯგუფთან, რომელმაც პარიზში ტერაქტები მოაწყო, – განაცხადა გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა დე მიზიერმა.

## თურქეთმა გიულენის გადმოცემა ოფიციალურად მოითხოვა



თურქეთის ხელისუფლებამ აშშ-ს ოფიციალური დოკუმენტი გაუგზავნა და იქ მცხოვრები თურქი მქადაგებლის გიულენის გადაცემა მოითხოვა. თურქეთის ხელისუფლება 75 წლის გიულენს თურქეთის პუტჩის ორგანიზებაში ადანაშაულებს.

– ახლო წარსულში გიულენი თურქეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის მეგობარი და თანამოაზრე იყო. შემდგომში მათი გზები გაიყარა, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

გიულენიც იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო. ახლა ერდოღანი მას პუტჩის ორგანიზებაში სდებს ბრალს და მის დეპორტაციას მოითხოვს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● ექიმიპროფესიონალივმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ლიგა დაიწყო

დაიწყო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი. პირველი სათამაშო დღე მატჩნაკლული გამოდგა, რადგან ც ჯგუფის ერთი შეხვედრა, მანჩესტერ სიტისა და მიონხენგლადბახის ბორუსიას შორის წვიმის გამო ერთი დღით გადაიდო.

სხვა მატჩები დაძაბულიც გამოდგა და იყო ისეთები, სადაც აშკარა ფავორიტებმა სწორედ ისე მოიგეს, როგორც საჭირო იყო.

### ა ჯგუფი

**პსჟ-არსენალი 1:1**

1:0 კავანი (1), 1:1 სანჩესი (77)

ლიგის წლევანდელი გათამაშების პირველი გოლი ამ მატჩში გავიდა, რადგან ედინსონ კავანიმ ვარდნაში თავური დარტყმით პირველივე წუთზე გახსნა ანგარიში.

კავანის შემდეგაც არაერთხელ შეეძლო გატანა, საერთოდაც პსჟ დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ვერ გამოიყენეს და 77-ე წუთზე დაისაჯნენ – ალექსის სანჩესიმ გათანაბრება მოახერხა – 1:1.

**ბაზელი-ლუდოგორეცი 1:1**

0:1 კაფუ (45), 1:1 სტეფენი (80)

ამავე ჯგუფში მეორე მატჩიც იგივე ანგარიშით დასრულდა. აქ ანგარიში უკვე სტუმრებმა გახსნეს – ჯონათან კაფუმ ლუდოგორეცი პირველი ტაიმის მიწურულს დააწინაურა.

მასპინძლებმა, რომლებიც წყვილის ფავორიტად იყვნენ მიჩნეულები, ანგარიში მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე გაათანაბრეს.

### ბ ჯგუფი

**დინამო (კ)-ნაპოლი 1:2**

1:0 ჰარმაში (26), 1:1, 1:2 მილიკი (36, 45)

ამ ჯგუფის ფავორიტად ნაპოლი არის მიჩნეული და იტალიელებმა ეს პირველივე მატჩში დაამტკიცეს.

მართალია, მაურიციო სარის გუნდი აგებდა, მაგრამ შინ 3 ქულით მაინც გაბრუნდა.

ანგარიში უკრაინელმა ჰარმაშმა გახსნა, მაგრამ პირველივე ტაიმში არკადიუშ მილიკმა ორი გოლი შეუგდო დინამოს. აღსანიშნავია, რომ პოლონელმა ორივე გოლი თავური დარტყმით გაიტანა.

კიეველებმა სცადეს მატჩის გადარჩენა, მაგრამ სიმწვავეც აკლდათ, ხოლო 68-ე წუთზე კი ფეხბურთელიც დააკლდათ. მოედნიდან სიდორჩუკი გააძევეს და ნათელი გახდა, რომ კაცნაკლული დინამო გათანაბრებას ვერ შეძლებდა.

**ბენფიკა-ბეშიქთაში 1:1**

1:0 ჩერვი (12), 1:1 ტალისკა (90)

ფავორიტად მიჩნეული ბენფიკა მთელი შეხვედრის განმავლობაში იგებდა და 3 ქულასთანაც ახლოს იყო, მაგრამ ბოლო წუთზე, ტალისკას საჯარიმო დარტყმიდან გაშვებული გოლით, 2 ქულა დაკარგა.

### ც ჯგუფი

**ბარსელონა-სელტიკი 7:0**

1:0, 2:0 მესი (3, 27), 3:0 ნეიმარი (50), 4:0 ინიესტა (59), 5:0 მესი (60), 6:0, 7:0 სუარესი (75, 88)

კატალონიელებმა სელტიკი დაიბრიყვეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნეიმარისა და მეო მესის თამაში. ბრაზილიელმა გოლთან ერთად 3 საგოლე პასი მიითვალა, ხოლო არგენტინელმა ჰეთრიკი გაიფორმა, რასაც ერთი საგოლე პასიც დაურთო.

ბარემ ვთქვათ, რომ ეს ჩემპიონთა ლიგაში მესის მიერ დამყარებული მორიგი რეკორდია – ჰეთ თრიქების რაოდენობა ექვსამდე აიყვანა და მადრიდის რეალის ფეხბურთელს კრიშტიანო რონალდოს გადაუსწრო.

ნაყოფიერი იყო ლუის სუარესიც, რომლის ანგარიშზეც ბოლო 2 გოლია, მანამდე ერთი ანდრეს ინიესტამაც გაიტანა და საბოლოოდ, 7:0.

ჰო, ბარსელონას ამ მატჩის შემდეგ მორიგი სანქციები ელის. თემა კვლავ კატალონიის დროშაა, რომლის გამოც უეფამ „ბლაუგრანა" წარსულში 3-ჯერ დააჯარიმა. დიდი ალბათობით, კატალონიელები ამჯერადაც 50 000 ევროთი დაჯარიმდებიან.

მატჩის დროს ტრიბუნებზე 30.000-ზე მეტი კატალონიის დროშა იყო.



### დ ჯგუფი

**ბაიერნი-როსტოვი 5:0**

1:0 ლევანდოვსკი (28), 2:0 მიულერი (45), 3:0, 4:0 კიმიხი (53, 60), 5:0 ბერნატი (90)

როსტოველები ნახევარი საათი უძალიანდებოდნენ მეტოქეს, მაგრამ შემდეგ ბავარიელებმა გაისეირნეს. გოლები 4 ფეხბურთელის ანგარიშზეა, კიმიხმა დუბლი მიითვალა.

ამ მატჩში განსაკუთრებული ბაიერნის მთავარი მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის მიღწევაა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში უნიკალური რეკორდი დაამყარა.

ანჩელოტი გახდა პირველი მწვრთნელი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე 7 სხვადასხვა გუნდს წვრთნიდა. მისი ხელმძღვანელობით ჩემპიონთა ლიგაში უთამაშიათ: პარმას, ტურინის იუვენტუსს, მილანს, ლონდონის ჩელსის, პსჟ-სა და მადრიდის რეალს.

**პსვ-ატლეტიკო 0:1**

0:1 საული (43)

ძალიან დაძაბული და ნერვიული გამოდგა მატჩი. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ჰოლანდიელებს გოლი გაუუქმეს, რაც საკამათო იყო. შემდეგ ესპანელმა საულმა გაიტანა და ახლა უკვე მასპინძლები აპროტესტებდნენ.

შემდეგ მადრიდელთა კარში პენალტი დაინიშნა, რამაც უკვე ესპანელთა გულისწყრომა გამოიწვია, მაგრამ ჰოლანდიელებმა საჩუქრით ვერ ისარგებლეს. პსვ კიდევ ერთ პენალტს ითხოვდა, მაგრამ ამჯერად ვერ მიიღეს და ატლეტიკოც 3 ქულით გაბრუნდა შინ.

# 2 ოქრო ახალგაზრდულ ჩემპიონატზე

თბილისში დაიწყო მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის. ახალ სპორტის სასახლეში 50 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი, ტურნირის პირველ დღეს ბერძნულ-რომაული სტილის 5 კატეგორიის ფალავნები გამოვიდნენ საასპარეზოდ და საქართველოს ნაკრებმა 2 ოქროს მედალი მოიპოვა,

მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ და მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა.

ევროპის 2015 წლის ჩემპიონმა და წლევანდელმა პრიზიორმა ლერი აბულაძემ (54) საფინალო გზაზე 4 მეტოქე ჩამოიშორა რისთვისაც ქართველ ფალავანს ჯამში 2:52 წუთი დასჭირდა, საერთო ჯამში 32 ქულა დააგროვა თავად კი ერთიც არ დაუკარგავს.

ფინალში ჩვენებურმა 3:3-ზე,




გიორგი შოთაძე (50) და ლერი აბულაძე (54).

ევროპის ჩემპიონმა გიორგი შოთაძემ (50) ფინალამდე 3 მეტოქეს მოუგო: რუმინელი კონსტანტინ ლუპი 1:28 წუთში დაამარცხა, ირანელი სოულატ დად მარზ 4:2, ხოლო ნახევარფინალში აზერბაიჯანელი ზაურ ნურიევი 3:0 დაამარცხა, ფინალში კი რუს ანზორ კარაგულოვს 6:2 მოუგო ბოლო აღებული ქულის წყალობით დაამარცხა თურქი კერემ კამალი და მსოფლიოს ჩემპიონატზე 2014 წელს მოპოვებული ვერცხლი ოქროზე გადაცვალა.

ხალიჩაზე კიდევ 3 ქართველი ირაკლი ძიმისტარიშვილი (58), ქერიმ მაჩალიკაშვილი (63) და საბა ცეცხლაძე (100) გავიდნენ, თუმცა უმედლოდ დარჩნენ.

# ოლიმპიადა ბაქოდან ბათუმში გადავა




ბაქოში დასრულდა საჭადრაკო ოლიმპიადა, რომლის ბოლო საშეჯიბრო დღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი დაესწრო. ქართულმა დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში მინისტრთან ერთად ოლიპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი და ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე შედიოდნენ, 2018 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის დროშა ოფიციალურად გადაიბარა.

ორი წლის შემდეგ საჭადრაკო ოლიმპიადას უკვე ბათუმი უმასპინძლებს. ბაქოში ასევე იმყოფებოდნენ ევროპის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენი ზურაბ აზმიფარაშვილი და ვეტერანი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი.

ახლა ტურნირზეც: საბოლოოდ, საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრებებმა ოლიმპიადაზე შესაბამისად მე-10 და 24-ე ადგილები დაიკავეს. ქალებმა 15 ქულა დააგროვეს, 14 ქულა აქვთ ვაჟებს.

დავიწყოთ ვაჟებით, რომლებიც ბოლოსწინა ტურამდე ინარჩუნებდნენ მედლის შანსს. ბოლო ტურში საქართველოს ნაკრებმა კი თურქებთან 1.5:2.5 წააგო. ბაადურ ჯობავა შავი ფიგურებით დრაგან სოლაკს დაუზავდა, პარტიები დათმეს მიხეილ მჭედლიშვილმა და თამაზ გელაშვილმა (2575), ხოლო ლევან ფანცულაიამ გამარჯვება იზეიმა.

აღსანიშნავია, რომ 32 წლის ქართველმა დიდოსტატმა ჯობავამ საჭადრაკო ოლიმპიადაზე 10 პარტიაში 8 ქულა მიითვალა და პირველ დაფაზე ოქროს მედალი არავის დაუთმო. იმის გათვალისწინებით, რომ ვაჟთა ტურნირში ფაქტობრივად ყველა უძლიერესი მოჭადრაკე თამაშობდა, ეს ნამდვილად დიდ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ.

როგორც გითხარით, საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა 14 ქულით 24-ე ადგილი დაიკავა, ჩემპიონი კი აშშ გახდა, რომელმაც სანუკვარი პრიზი 40-წლიანი პაუზის შემდეგ ჩაიბარა. ამერიკელებმა 20 ქულა მოაგროვეს და უკრაინელებს დამატებითი მაჩვენებლებით აჯობეს, ბრინჯაო კი რუსეთს (18 ქულა) ერგო.

სამწუხაროდ, 15 ქულით მხოლოდ მე-10 პოზიციაზე გავიდა საქართველოს ქალთა ნაკრები, რომელსაც მე-4 განთესვა გააჩნდა. ბოლო ტურში ქართველებმა ავსტრიას 3:1 სძლიეს. პარტიები მოიგეს ლელა ჯავახიშვილმა და ნინო ბაციაშვილმა, ბელა ხოტენაშვილმა და სალომე მელიამ კი ყაიმები დააფიქსირეს.

ოლიმპიადაზე ჯობავას მსგავსად შესანიშნავად ითამაშა ნინო ბაციაშვილმა, რომელმაც 10-დან 9 პარტია მოიგო და ქალთა მე-4 დაფაზე მხოლოდ ჩინელ ჟონგი ტანს ჩამორჩა, რამაც ქართველ მოჭადრაკეს მცირე ვერცხლის მედალი მოუტანა.

მოლოდინისამებრ, ქალთა გათამაშების გამარჯვებული ჩინეთის ნაკრები გახდა, მეორე პოლონეთი იყო, რომელმაც დამატებითი მაჩვენებლით გაუსწრო ბრინჯაოსმედალოსან უკრაინას.

## შედეგები

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| პსჟ-არსენალი | 1:1 |
| ბაზელი-ლუდოგორეცი | 1:1 |
| დინამო (კ)-ნაპოლი | 1:2 |
| ბენფიკა-ბეშიქთაში | 1:1 |
| ბარსელონა-სელტიკი | 7:0 |
| ბაიერნი-როსტოვი | 5:0 |
| პსვ-ატლეტიკო | 0:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბრაიტონი-ჰადერსფილდი | 1:0 |
| ვულვზი-ბარნსლი | 0:4 |
| დერბი-იფსვიჩი | 0:1 |
| პქრ-ნიუკასლი | 0:6 |
| ლიდსი-ბლექბერნი | 2:1 |
| ნორვიჩი-უიგანი | 2:1 |
| პრესტონი-კარდიფი | 3:0 |
| ფულემი-ბარტონი | 1:1 |
| რედინგი-ბირმინგემი | 0:0 |
| უენსდი-ბრისტოლი | 3:2 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# უეფას ახალი პრეზიდენტი ჰყავს



2016 წლის 14 სექტემბერს ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა, რომელშიც სლოვენიელმა ალექსანდერ ჩეფერინიმ გაიმარჯვა.

სლოვენიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მხარი ფედერაციის 55 წევრიდან 42-მა დაუჭირა. მისმა ერთადერთმა კონკურენტმა, ჰოლანდიელმა მიხეალ ვან პრააგმა 13 ხმა მიიღო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ათენში გამართულ არჩევნებზე პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი წარმოადგენდა და მან მხარი ალექსანდერ ჩეფერინის კანდიდატურას დაუჭირა.

**ლევან კობიაშვილი:**

– სასიხარულოა, რომ გაიმარჯვა კანდიდატმა, რომელსაც ჩვენ ვუჭერდით მხარს, რადგან სრულად ვიზიარებთ მის ხედვას ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, მისი ყველა ქმედება იქნება ფეხბურთის ინტერესებისთვის სასიკეთოდ მიმართული, ამასთან ის სამოქმედო სტრატეგია და ხედვა, რომელიც აქვს ალექსანდერ ჩეფერინის, არის ძალიან სასარგებლო ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

*საერთაშორისო*

# ევროპარლამენტი პოლონეთზე ზეწოლას აძლიერებს



ევროპა უკმაყოფილოა პოლონეთში დემოკრატიის შეზღუდვით. ევროპარლამენტის წამყვანმა ფრაქციებმა (კონსერვატორები, ლიბერალები, მწვანეები, მემარცხენეები) მოამზადეს რეზოლუცია, სადაც დაგმობილია პოლონეთში კონსტიტუციური სასამართლოსათვის უფლებების შეზღუდვა. ევროპარლამენტმა აგრეთვე არ მოიწონა დუდას მიერ ხელმოწერილი ანტიტერორისტული კანონპროექტი, რაც მედიის შეზღუდვას ითვალისწინებს.

– პოლონეთს მოვუწოდებთ, უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს ევროკომისიასთან და ევროპული ფასეულობები სრულად გაიზიაროს, – ნათქვამია რეზოლუციის პროექტში.

# რუსებმა ალეპოსთან სამხედრო ტექნიკა გადაისროლეს



მიუხედავად სამშვიდობო შეთანხმებისა, რუსებმა ალეპოსთან დიდძალი სამხედრო ტექნიკა გადაისროლეს. ამის თაობაზე ტელეკომპანია „დოჟდი" იუწყება. ამ განცხადებამ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო გააღიზიანა:

– ჩვენ გადავისროლეთ არა სამხედრო ტექნიკა, არამედ მოწყობილობა, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის ფაქტებს დააფიქსირებს, – აცხადებს რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

*სპორტი*

# ფილიპო ინძაგის პროგნოზი



იტალიური მილანის თავკაცმა, ფილიპო ინძაგიმ ჩემპიონთა ლიგის ახალ სეზონზე ისაუბრა, რომელმაც სტარტი აიღო. ლეგენდარული იტალიელი მიიჩნევს, რომ ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ფინალში ტურინის იუვენტუსი და მიუნხენის ბაიერნი ითამაშებენ.

**ფილიპო ინძაგი:**

– თუ ყველა კენჭისყრა ისე დასრულდა, რომ იუვენტუსი და ბაიერნი ერთმანეთს ნაადრევად არ გადაეყარნენ, მაშინ შემიძლია ვთქვა, ეს ორი კლუბი ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშებს. გერმანელები უკვე წლებია საუკეთესოდ თამაშობენ, ანჩელოტი კი დიდებული მწვრთნელია. რაც შეეხება იტალიურ კლუბს, უკვე მათი დროც დადგა. იუვეს შესანიშნავი სატრანსფერო ბაზარი ჰქონდა. პოგბას გაყიდვით მათ შეავსეს შემადგენლობა. თუ ადრე ვამბობდით, რომ ტურინელებს კარგი დაცვა და არც ისე კარგი შეტევა ჰყავს, ახლა სიტუაცია შეიცვალა და ყველა რგოლში ბალანსი იგრძნობა. მათ დაიმატეს ბენატია, პიანიჩი და იგუაინი, ასეთ გუნდს დიდი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლია. ანჩელოტის ხელმძღვანელობით კი, ბაიერნი საოცარ თამაშს აჩვენებენ. მათ აქვთ ყველა რესურსი, ფლანგებზე ნამდვილი მონსტრები, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი – ლევანდოვსკი, ყოველთვის სახიფათო მიულერი და ასეთივე დუგლას კოშტა. მოკლედ, ჩემს ვარაუდს კარგი არგუმენტები აქვს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# „სააკაშვილი უკრაინას აღარ სჭირდება"

**დასაწყისი მე-3 გვერდზე**

კორუფციასთან ბრძოლაში წარუმატებლობა გასაგებია, მაგრამ უფრო ძნელად ასახსნელია მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ამბიციები როგორც უკრაინაში, რომლის მოქალაქეობა ახლახან მიიღო, ასევე საქართველოშიც, სადაც ამომრჩევლებმა მისი პოლიტიკური ხედვები ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ უკუაგდეს და სადაც მისი ადმინისტრაციის კარგ და ცუდ საქმეებს დღემდე არჩევენ.

საქართველოში საპარლამენტო არჩევნები 8 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს, უკრაინაში კი დაახლოებით ერთი წლის შემდეგ. ექს-პრეზიდენტი სწორედ ამ ორ კურდღელს დასდევს.

მიხეილ სააკაშვილის პრობლემა (მას საქართველოშიც და უკრაინაშიც ხშირად უბრალოდ მიშას ეძახიან) იმაში გამოიხატება, რომ იგი ორივე ქვეყანაში კარგად არის ცნობილი, მაგრამ მაინცდამაინც პოპულარულ პიროვნებას არ წარმოადგენს.

უკრაინაში მიშამ დიდი სკანდალები ატეხა, მაგრამ ოდესის ოლქში რაიმე კონკრეტულ წარმატებებს მაინც ვერ მიაღწია. უფრო მეტიც – გუბერნატორად მისი დანიშვნის ბრძანებას ჯერ მელანი არ შეშრობოდა, რომ მიშამ უფრო მაღალ თანამდებობაზე – თავისი ახალი სამშობლოს პრემიერ-მინისტრობაზე დაიწყო ფიქრი. ამგვარმა ამბიციებმა უკრაინელ ხალხზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა იმის გათვალისწინებით, რომ მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის მოქალაქეობა შედარებით მცირე ხნის წინ მიიღო.

გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრობაზე ოცნებამ მიხეილ სააკაშვილს მტრებიც გაუჩინა იმ ლიდერების სახით, რომლებსაც უკრაინის პოლიტიკურ არენაზე საქმიანობის მასზე უფრო მეტი სტაჟი გააჩნდათ. ნაწილობრივ ეს შეიძლება ავხსნათ მიშას ანტიკორუფციული თავგამოდებით, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მის ბაგეთაგან წამოსული აგრესიული პრეტენზიები და უსაფუძვლო ბრალდებები თვითპიარად აღიქმებოდა და ზოგიერთ მძიმეწონიან, მნიშვნელოვან პიროვნებას აღიზიანებდა.

სულ ახლახან მიხეილ სააკაშვილი ოდესის ოლქში მომხდარი სკანდალის ფიგურანტი გახდა: ერთ-ერთ სოფელში გოგონა მოკლეს.

სოფლის მოსახლეობამ ეჭვი იქვე არსებულ ბოშათა თემზე (ბანაკზე) მიიტანა, რასაც დარბევა მოჰყვა. მიხეილ სააკაშვილმა კი ამ ტრაგიკული ფაქტის კომენტირებისას, იმის ნაცვლად, რომ თვითგასამართლება დაეგმო, როგორც ჩანს, ცეცხლზე ნავთი დაასხა და ბოშები დამნაშავედ შერაცხა. და როცა მიშას ასეთი მოქმედება მასმედიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა, მათ შორის ამერიკულმა „ფორინ პოლისმა" არაკორექტულად მიიჩნია, გუბერნატორმა ისინიც გააკრიტიკა და მათ მიკერძოებაში დასდო ბრალი.

მიხეილ სააკაშვილის მოქმედებას თუ დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მას თავისი მიზნების განხორციელება უკრაინაშიც უნდა და იმავდროულად საქართველოშიც, სადაც მას დაბრუნება სურს და ხელისუფლებაში მოსასვლელად ნაციონალურ მოძრაობას (ანუ საკუთარს თავსაც) ეხმარება.

საქართველოში ნაციონალურ მოძრაობას, 2012 წლის არჩევნებში ნაგემი მძიმე დამარცხების მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონა აქვს. საპარლამენტო არჩევნებამდე თითზე ჩამოსათვლელი კვირეები დარჩა და როგორც სოციოლოგიური გამოკითხვები მოწმობს, ნაციონალები მმართველი „ქართული ოცნების" ფეხდაფეხ მიდიან.

პარტიის რებრენდინგის ერთ-ერთი ფაქტორი ის გახლავთ, რომ მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში წასვლით ნაციონალებმა გარკვეულწილად შეძლეს დისტანცირება ახლო წარსულში ჩადენილი ქმედებისაგან და მოახერხეს მმართველი „ქართულ ოცნების" პროდასავლურ ალტერნატივად ჩამოყალიბება. ამიტომაც თუ მიშა საქართველოში მიმდინარე საპარლამენტო რბოლაში ჩაბმას გადაწყვეტს (რაც სრულიად შესაძლებელია), ეს ფაქტი იქაურ (ანუ ქართველ) პროდასავლელ ლიბერალებს უხერხულ სიტუაციას შეუქმნის.

ამასთან, შესაძლოა მიშას იმედები არ გამართლდეს: ერთი მხრივ, არჩევნებში ნაციონალების სავარაუდო გამარჯვება ის ფაქტორი გახდება, რაც ამომრჩევლებს მეტ-ნაკლებად გადაავიწყებს მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ეპოქაში ჩადენილ დანაშაულობებს, მაგრამ თუ მიშა დაბრუნდება, მაშინ მოსახლეობისთვის იმ ყველაფრის დავიწყება ძნელი იქნება.

მეორე მხრივ, თუ ნაცმოძრაობა მიშას დაუხმარებლად არჩევნებში კარგ შედეგს მიაღწევს, ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილის დაბრუნება ქართულ პოლიტიკაში ძნელადმისაღწევი გახდება. ორივე მომენტი ექს-პრეზიდენტს ხელს უშლის.

ამასობაში კი უკრაინაში გაჩნდა სიმპტომები იმისა, რომ ოდესის ოლქის გუბერნატორის პოპულარობის დაცემა ყველაზე ქვედა წერტილს უახლოვდება. ანუ შეიძლება ითქვას, რომ გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი და მისი შეთავაზებები უკრაინას აღარ ჭირდება.

უკრაინა ძალიან ბევრი რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მათგან ყველაზე მთავარი რუსული აგრესიაა, რომლის გამოც კიევი ყირიმს ვერ აკონტროლებს, დონბასი კი კონფლიქტის რეგიონად იქცა.

არანაკლებ მასშტაბური გამოწვევებია კორუფციასთან ბრძოლა და თანამედროვე ეკონომიკის შექმნა, რაც ყოველი უკრაინელის ინტერესებს ემსახურება. ამ პრობლემების მოგვარება უკრაინის ყოველი მთავრობისათვის ძალიან რთულ ამოცანას წარმოადგენს, ხოლო მიხეილ სააკაშვილის ოდესური „გამოხტომები" ისედაც რთულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს: მიშას ამბიციები და პოლიტიკური მეთოდები, კერძოდ ის, რომ ვინც მას არ ეთანხმება, იგი ყველას რუსეთის აგენტებს და კრემლის ლაქიებს ეძახის, სრულიადაც არ უწყობს ხელს უკრაინაში პოლიტიკური სიტუაციის დაწყნარებას.

საქართველოში ამომრჩეველს მთელი ათი წელი დაჭირდა იმის გასაცნობიერებლად, რომ მიხეილ სააკაშვილში – ამ საკმაოდ კოლორიტულ, დრამატულ და აღმაფრთოვანებელ ლიდერში – არასტაბილური და ავტორიტარული მეთოდების მოყვარული პიროვნება იმალებოდა. აშკარაა, რომ უკრაინელ ხალხს და მის ლიდერებს ამისათვის შედარებით ნაკლები დრო დაჭირდებათ.

თუ მიშა მართლაც თავის პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე და საქართველო-უკრაინის კეთილდღეობაზე ზრუნავს, მაშინ მან ორი კურდღლის დევნა უნდა შეწყვიტოს და სხვა გზა აირჩიოს.

# ასტროპროგნოზი
## 15 სექტემბრისთვის



**ვერძი** – არ იაქტიუროთ. არასასიამოვნო ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. **კურო** – ვარსკვლავები დიდ გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალურ სფეროშიც წარმატებას მოიპოვებთ. **ტყუპები** – შესაფერისი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **კირჩხიბი** – ძველი, დავიწყებული პრობლემები კვლავ წამოტივტივდება. მოვლენები საღად შეაფასეთ. რეალობას ნუ მოსწყდებით. **ლომი** – ნუ იჯიუტებთ. თუ ვითარება მოითხოვს, კომპრომისი გამართლებულია. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა ან მოულოდნელი შეხვედრა თქვენს საქმეებზე ნეგატიურად აისახება. ემოციები აკონტროლეთ. **სასწორი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. დღეს საოცრად გაგიმართლებთ ნებისმიერ სფეროში. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში პრობლემებს გადააწყდებით. თქვენი არავის ესმის. **მშვილდოსანი** – ძალზე წარმატებული დღეა. ყველა ახალი წამოწყება გაამართლებს. **თხის რქა** – ნუ იქნებით ზედმეტად ჩაკეტილი. გარშემომყოფებს გული გაუხსენით. სიზმარი აგიხდებათ. **მერწყული** – დაწყებული საქმე დროულად დაამთავრეთ. საპირისპირო სქესთან სერიოზული კონფლიქტია მოსალოდნელი. **თევზები** – საქმიან სფეროში ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. შესაძლოა, ძალზე საინტერესო შემოთავაზება მიიღოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 2. პერუში მცხოვრები უძველესი ცივილიზაციის მქონე ინდიელთა ტომი; 3. ყურანის მიხედვით, მუსლიმთა სამოთხეში მცხოვრები მარად ნორჩი, ლამაზი ქალები; 4. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 5. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება; 6. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 7. ჰოლანდიის კუნძული ჩრდილოეთის ზღვაში; 9. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 13. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 17. ახალი თევზისგან მომზადებული იაპონური კერძი; 18. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში.

**თარაზულად:** 1. საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული; 3. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 8. იაპონელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 10. მომთაბარე არაბი; 11. იორდანიის დედაქალაქი; 12. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 14. სამურაების მეთაური; 15. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 16. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 19. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 20. ოთხსიმიანი ხემიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. მკბენარა მწერი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბრინჯაო; 2. კუპაჟი; 3. ხმელნიცკი; 4. კამორა; 5. სიმპათია; 7. ერბო; 11. დემარში; 13. ხილნარი; 15. არაყი; 16. ძიუდო; 18. აპაში; 19. ბენცი.

**თარაზულად**: 6. როზეტი; 8. ბულიმია; 9. წუმწუმა; 10. ჯოკონდა; 12. დიქტი; 14. კახეთი; 17. კალმასობა; 20. ჩერჩილი; 21. ჭყვიში; 22. შვეცია; 23. პოლონეზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. გაბრინუსი; 2. ლოპოტი; 3. ბომარშე; 4. ტანგო; 5. ჟურფიქსი; 6. ფურკა; 7. სიმენსი; 9. ნაზუქი; 13. პიერო; 17. ქოცო; 18. ობი.

**თარაზულად**: 1. გუდვილი; 3. ბატუტი; 8. დურუჯი; 10. ფორმანი; 11. ფრეზა; 12. ტორსიდა; 14. ონიქსი; 15. აპენინი; 16. საქსი; 19. ქორქია; 20. ციურიხი; 21. ქოქოსი.

# „ჯაბა ბოჯგუას დასახმარებელ კონცერტზე რამდენიმე ბილეთი გაიყიდა, ელენა ვაენგას კონცერტზე კი დარბაზი ივსება“

— იმ ფონზე, როდესაც ჯაბა ბოჯგუას დასახმარებლად დაგეგმილ კონცერტზე 20 ლარიანი ბილეთები მხოლოდ რამდენიმე გაიყიდა, ელენა ვაენგას კონცერტზე 50-150 ლარიანი ბილეთებით დარბაზი ივსება. უთავმოყვარეობა სჭირს ერს, — აცხადებს თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ხელმძღვანელი ჯაბა სიხარულიძე:



— რაზე მელაპარაკებით, როცა ამ ქალის კონცერტზეც კი ივსება დარბაზი და თან 50-150 ლარიანი ბილეთებით! უთავმოყვარეობა სჭირს ერს! ამაზე მეტი ბილეთი იყიდება, თან ამ ფასად!!!!!! მაშინ, როცა ჯაბა ბოჯგუას მხარდასაჭერ კონცერტზე 20 ლარიანი ბილეთები დაიდო და 10 გაიყიდა სულ, კონცერტი გაუქმდა. მერიამ დააფინანსა დარბაზი, ხმა, განათება... ორგანიზატორებმა ვერ გაქაჩეს პიარი ალბათ, მართლა ორი კინკილა ბილეთი გაიყიდა და ამის გამო გაუქმდა, მერე თანხაც დამიბრუნეს. უამრავ საინტერესო კონცერტზე მაქსიმუმ 50 ლარიან ბილეთებზე დარბაზები ვერ ივსება! სირცხვილია, რა!!!

რუსი მომღერალი ელენა ვაენგა საქართველოში პირველად ჩამოდის. მისი კონცერტი 16 სექტემბერს ალექსი მაჭავარიანის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზშია დაგეგმილი. მომღერალმა სპეციალური ვიდეომიმართვა უკვე გამოუგზავნა თბილისელ მსმენელს და მათთან შეხვედრას მოუთმენლად ელოდება.

ელენა ვაენგას კონცერტზე დასასწრები ბილეთი 50-დან 150 ლარი ღირს და ბილეთების უმეტესობა უკვე გაყიდულია.

# შორეთის მონასტერს საფრთხე აღარ ემუქრება



შორეთის სამონასტრო კომპლექსს საფრთხე აღარ ემუქრება.

შორეთის სამონასტრო კომპლექსი VI-VII-XV საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ძეგლი, კედლის მოზაიკით შემკული სამონასტრო ორსართულიანი ლავრაა, სამრეკლოთი, სკრიპტორიუმით, მცირე სამლოცველოიანი ციხით და კლდეში ნაკვეთი სენაკებით. მონასტერი მდებარეობს ასპინძის რაიონში, სოფელ ოთასთან 5 კილომეტრში. ძეგლი მრავალჯერ გადაკეთებული რთული არქიტექტურული ნაგებობაა.

მთავარი ეკლესია VI-VII საუკუნეების საკულტო ნაგებობის, სავარაუდოდ, ქრისტიანული ეკლესიის ნაშთებზეა აგებული, რასაც მოწმობს ორივე საძვალისა და სატრაპეზოს კედლების წყობა და საკურთხევლის ქვეშ კარებში ჩაშენებული ქვის სვეტი სტილიზებული ჯვრით. მთავარი ეკლესია, ორეკლესიანი ბაზილიკა, საკმაოდ ძველია და შესაძლოა არაუგვიანეს IX-X საუკუნეებით დათარიღდეს. XII-XIII საუკუნეებში ის, სავარაუდოდ, გააფართოვეს და გადააკეთეს მონასტრად, სამხრეთიდან და დასავლეთიდან მიაშენეს მცირე ეკლესია და სკრიპტორიუმი. XIV-XV საუკუნეებში კი მიაშენეს კარიბჭე, სამხრეთიდან საძვალეზე დაშენებულია რეკონსტრუირებული ეკლესია და სამრეკლო.

შორეთის ტაძარში გასულ წელს ჩატარდა არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოებიც.

მესამე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები კი 2017 წლისთვისაა დაგეგმილი.

# „გაღმა ნაპირის“ მთავარ გმირს კარიერული დახმარება ესაჭიროება



გიორგი ოვაშვილის ფილმი „გაღმა ნაპირი“ ქართველ მაყურებელთან ერთად მსოფლიო მაყურებელმაც გაიცნო და შეიყვარა. არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ფილმის მთავარი ბიჭის როლის შემსრულებელი თედო ბექაური გიორგი ოვაშვილმა შემთხვევით იპოვა და თავის ახალ ფილმში მთავარ როლზე დაამტკიცა. მაშინ რეჟისორს არჩევანი დაუწუნეს და ურჩევდნენ, რომ თედო როლიდან მოეხსნა, რადგან ბიჭს ტყუილად აწვალებდა, თუმცა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, თედომ არა მარტო ზედმიწევნით შეასრულა რეჟისორის მითითებები, არამედ საერთაშორისო აღიარება მოუტანა ფილმს.

დიპლომატი მამუკა კუდავა თედო ბექაურთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს და აცხადებს, რომ მას კარიერული დახმარება ესაჭიროება:

— თედო ვნახე, გიორგი ოვაშვილის ცნობილი ფილმის „გაღმა ნაპირი“ დაუვიწყარი გმირი.

4 წლის წინ პარიზში ჩავიყვანეთ ერთი ღვთისნიერი სინეფილი ფრანგი ქალბატონის დახმარებით, რომელზეც თედოს პერსონაჟმა დიდი ემოციები გამოიწვია.

# მერაბ ნინიძე „ჩემი ცოლის დაქალებში“ მონაწილეობს



რამდენიმე დღეში ფორმულა „კრეატივის“ გახმაურებული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ ეთერში მეათე სეზონით დაბრუნდება.

სერიალის შემქმნელების ინფორმაციით, მასში ბევრი სიახლეა. ათი სეზონის განმავლობაში სერიალი არაერთმა მსახიობმა დატოვა, სცენარისტებმა ბევრი ახალი პერსონაჟი შექმნეს და მაყურებელს მუდმივ სიახლეებს სთავაზობენ.

ყველაზე დიდი სიახლე სერიალის ერთგული გულშემატკივრებისთვის ის არის, რომ „ჩემი ცოლის დაქალებში“ მსახიობი მერაბ ნინიძე ითამაშებს.

ახალი სეზონის სარეკლამო რგოლში მერაბ ნინიძე და ნინო კასრაძე ჩანან. სწორედ ნინო კასრაძის გმირი, მაკაა ახალი სეზონის მთავარი ეპიცენტრი. ნინო კასრაძისა და მერაბ ნინიძის გმირები ერთმანეთს ზღვაზე ხვდებიან და აქე-

# გიორგი ლომინაძის და ნუცა გუნცაძის დასახმარებლად ნინო ანანიაშვილი საქველმოქმედო საღამოს გამართავს

ქართველი მორაგბე გიორგი ლომინაძე და მისი მეუღლე ნუცა გუნცაძე რამდენიმე თვის წინ ავტოკატასტროფაში მოყვნენ. ავარიას მსხვერპლი მოჰყვა. გიორგი და ნუცა კომაში იმყოფებოდნენ, თუმცა მათ უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსვლა შეძლეს და ახლა მკურნალობის კურსს თურქეთში გადიან.

გიოს და ნუცას დასახმარებლად ქართველი ხელოვანები მომღერლები, მსახიობები, დიზაინერები სისტემატურად აწყობენ სხვადასხვა საქველმოქმედო კონცერტებს, სპექტაკლებს, გამოფენა-გაყიდვებს. 16 სექტემბერს ქართველი დიზაინერები გიოს და ნუცას დასახმარებლად საკუთარი კოლექციებიდან უახლეს კოსტიუმებს მათი სიცოცხლის გადასარჩენად გაყიდიან.

გიოს და ნუცას გადარჩენისთვის საქველმოქმედო საღამოს გამართავს ნინო ანანიაშვილი და სახელმწიფო საბალეტო დასი. 11 ოქტომბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება ღონისძიება. მასზე დასასწრები ბილეთის ფასი 10-50 ლარია. საღამოდან შემოსული თანხა მთლიანად გიორგი ლომინაძისა და ნუცა გუნცაძის დასახმარებლად გადაირიცხება.

გიოს და ნუცას დახმარების მსურველებისთვის ჩართულია სპეციალური ნომერი 0901 701 140 ზარის ღირებულება 1 ლარია. საქართველოს ბანკში კი საბანკო ანგარიშია გახსნილი.

# თენგიზ არჩვაძე: „როგორ შეიძლება, შენი ქალაქი ამ დღეში ჩააგდო?!“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბაზე ვზრუნავ, სულ რაღაცას ვრგავ!

ჩემი ყოველი სიტყვა იქნება იმ ხალხის საწინააღმდეგოდ, ვინც ჩემი თბილისი გაჩეხა! თავიანთ სინდისში, გულში ჩაიხედონ, თუ აქვთ...

გაიხსენონ: „იას უთხარით ტურფასა“, „ხმელი წიფელი“... თუმცა, ზოგს ალბათ, არც წაუკითხავს ვაჟა-ფშაველა. ვაჟა თუ კარგად ეცოდინება ადამიანს, ის ხეებს უდიერად აღარ მოეპყრობა!

ისე ვნერვიულობ, სულ მაკანკალებს, თბილისი რომ ამ დღეშია. რასაც ვამბობ, ნახევრად გიჟის ნათქვამია ეს სიტყვები. როგორ შეიძლება, შენი ქალაქი ამ დღეში ჩააგდო?! ქვეყანა, რომელმაც ძუძუ გაწოვა! დამარხეს ქალაქი. ვინმემ მიპასუხოს, რატომ გაიჩეხა ვაკის პარკი? არნახული ხეივნები იყო იქ... ქართული სული, საქართველო და სიმწვანე ერთდროულად ამოძირკვეს!“

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები



ბლოკი „თოფაძე მრეწველები ჩვენი სამშობლო“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან ერთგული თანამებრძოლის

**ზაზა ლაზაროვის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



**ნოდარ მოდებაძის გახსენება**

დღეს 40 დღე სრულდება, რაც ტრაგიკულად დაიღუპა შესანიშნავი პიროვნება, დიდი მამულიშვილი, მსოფლიოს თასის მფლობელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში და გულანთებული ქართველი ნოდარ მოდებაძე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

საქართველოს ეროვნული ჭიდაობის, ქ.თბილისის ეროვნული ჭიდაობის ფედერაცია, მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“, ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი, მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიური თამაშების, საქართველოს ჩემპიონების სახელით, თამაზ მაჭავარიანი



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორის, ბატონი

**ნაპოლეონ მესხიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**ხუთშაბათი 15 სექტემბერი**

**07.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. რამდენად ბოროტი ხართ" **08.00** ან/სერ "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** ზღაპარი. "დიდოსტატი ქურდი" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" **11.00** დ/ფ "ჩირლიდერები" **12.20** მხ/ფ "**ნისლების სანაპირო**" **14.10** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **14.50** დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.35** "ეკიპაჟი" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. ჩრდილოეთ ამერიკა უკუღმა" **19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **20.00** მოამბის სტუმარი **21.30** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.15** "ვექტორი" **22.45** მხ/ფ "**დაივიწყე სარა მარშალი**" (მ.კუნისი) **01.00** მხ/ფ "**ბაღდადელი ქურდი**" (მ.პოუელი) **02.30** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. ჩრდილოეთ ამერიკა უკუღმა"

**08.00** დ/ფ "ამფორების გზა" **09.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მინი/სერ "**სად ხარჯ**" **12.00** ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" **18.00, 21.00** "არჩევნები 2016" **20.00** "მოამბე" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (5 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**05.30** სერ. "**ბამბის ველი**" **06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 9 სერ. **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" 9 სერ. **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**არ ინერვიულო**" **02.00** მხ/ფ "**ბაზა**" **03.30** მხ/ფ "**საშობაო ამბავი**" (ტიტ.)

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.50, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 2 **23.00** პროფილი **00.00**P.S.**01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **12.00** შეხვედრები რეგიონულ მედიასთან **13.30, 2.15** სერ. "**ძვლები**" **14.30** ცოლები და ქმრები **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** მხ/ფ "**დასაწყისი**"

**06.15** სჯანი "ბუდიზმი" **1** ნაწ. **06.40** პატერიკი-შენდობის აუცილებლობა **06.50** დ/ფ "მაცხოვარი ლატალისა" **07.25** ქართული ალბომი "დიდი დეკანოზის შთამომავლობა-დავით ღამბაშიძე" **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.25** სიბრძნისმეტყველება "ეკლესიასტე" **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 01.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები "არტემ ერქომაიშვილი" II ნაწ. **12.10** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" **2 13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** ერთი წვეთი **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** კონცერტი **17.05** საყმაწვილო ენციკლოპედია **17.35** ჩვენი ფონდი "ბუბა კუდავა-ვინ იყო დოლისყანის ქტიტორი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები "ცისფერი ტრიო" **20.20** დ/ფ "კარბელაშვილების კილო" **20.40** ძილი ნებისა "სიზმარა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.45** ამბიონი "გალობა-"უფალო ღაღადყავი" **22.20** ჩვენი საგანძური "ლარგვისის ოთხთავი" **22.40** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** გამოყენებითი ხელოვნება "მინიატურა სპილენძით-ზაზა ნასიძე" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05, 0.00** სერ."**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05** სერ."**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** სერ."**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ."**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ."**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05** სერ."**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.35** სერ."**უკანასკნელი მაგიკიანი**" **19.05** სერ."**ცხოვრება რომელიც არ ყოფილა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.00** "ღამის კონტაქტი" **22.30** სერ."**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

15 სექტემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3141 |
| ევრო | 2.5967 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0687 |
| 100 რუსული რუბლი | 3.5462 |

## ამინდის პროგნოზი 15 სექტემბრისთვის





## 13 სექტემბრიდან
# პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

ვიქტორ ჰიუგო




მთელი რომანი ერთ წიგნში!

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## 15 სექტემბრიდან
# საბავშვო ვეფხისტყაოსანი

სკოლამდელებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის

წიგნი გაფორმებულია XVI-XVII საუკუნეებში მცხოვრები უცნობი მხატვრისა და მამუკა თავაქარაშვილის მიერ შესრულებული ფერადი ნახატებით.




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## იუმორი



ბიჭი გოგოს ეკითხება:
– სიგარეტი ხომ არ გაქვთ? სექსის შემდეგ სიგარეტის მოწევა მიყვარს.
– კი მაგრამ, სექსი ხომ არ გქონიათ.
– ოჰ, დიახ, კიდევ ერთი თხოვნა მექნება...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ამ გაჭირვებულ დროში როგორ გძინავს?
– ახალშობილივით...
– ეგ როგორ?
– ყოველ საათში ერთხელ ვიღვიძებ და ვტირი!

●●●

რეფერენდუმი რუსეთში.
შეკითხვა: ხართ თუ არა წინააღმდეგი, რომ პუტინი ისევ გახდეს რუსეთის პრეზიდენტი?
1) დიახ, წინააღმდეგი არ ვარ.
2) არა, წინააღმდეგი არ ვარ.

●●●

სტუმარი ეზოს ჭიშკართან დგას და უზარმაზარი ძაღლის შიშით ეზოში შესვლას ვერ ბედავს.
მასპინძელი ეძახის:
– არ შეგეშინდეთ, დაკოდილია.
– მართლა? მე კი მეგონა, ჩემი კბენა უნდოდა...

●●●

ექიმი თავის ნაცნობს ეუბნება:
– ჩემს პაციენტს ბოლო სტადიის ბრტყელტერფიანობა აქვს.
– „ბოლო სტადიის ბრტყელტერფიანობა“ რომელია?
– საცურაო „ლასტები“ ნანახი გაქვს?
– კი.
– აი ეგ, ბოლოსწინაა...

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:
– სიგარეტი ხომ არ გაქვთ? სექსის შემდეგ სიგარეტის მოწევა მიყვარს.
– კი მაგრამ, სექსი ხომ არ გქონიათ.
– ოჰ, დიახ, კიდევ ერთი თხოვნა მექნება...

●●●

ექიმი თავის ნაცნობს ეუბნება:
– ჩემს პაციენტს ბოლო სტადიის ბრტყელტერფიანობა აქვს.
– „ბოლო სტადიის ბრტყელტერფიანობა“ რომელია?
– საცურაო „ლასტები“ ნანახი გაქვს?
– კი.
– აი ეგ, ბოლოსწინაა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 9 სექტემბრიდან




ლევან ბრეგაძე
# ყოფითი რწმენა-წარმოდგენები

ამ წიგნში თავმოყრილია საქართველოში წინათ და ნაწილობრივ ამჟამადაც გავრცელებული ხალხური ყოფითი რწმენა-წარმოდგენების ნიმუშები. მაგალითად: თუ ხანგრძლივად გასლოკინებთ, ვიღაც თქვენს ძვირს ამბობს, ვინც ქალაქში პირველად ჩადის, კენჭი უნდა ჩაყლაპოს, რომ ქალაქმა არ დასცადოს, თუ მეზობელს ორშაბათს ფულს ასესხებ, იმ კვირაში სულ ფულის გაცემა მოგიწევს და სხვ. ეს ნიმუშები შეკრებილია ძველი და თანამედროვე ავტორების, მკვლევარ-შემგროვებლების ნაშრომებიდან, აგრეთვე შემდგენლის პირადი კოლექციიდან, კომენტარებით, შენიშვნებით, უცხოური პარალელებითა და ციტატებით.

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი


# შვაინშტაიგერს ყიდიან, ფაბრეგასს — ანათხოვრებენ




ბასტიან შვაინშტაიგერმა საბოლოოდ დაკარგა ადგილი მანჩესტერ იუნაიტედის შემადგენლობაში, რის საფუძველზეც, კლუბი მზად არის მის გასასხვისებლად.

იუნაიტედმა უკვე დააწესა სატრანსფერო ღირებულება, რომელიც 6.7 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელის ტრანსფერი იუნაიტედს 8.4 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა, ინგლისურ მხარეს არ აქვს ფინანსური პრობლემის საშიშროება, რადგან გასულ სეზონში კლუბის შემოსავალმა რეკორდულ ციფრს მიაღწია და ნახევარ მილიარდს გადააჭარბა.

ცნობილია ის ფაქტიც, რომ ჟოზე მოურინიოს გეგმებში შვაინშტაიგერი არ შედის, სწორედ ამიტომ გერმანელი ნახევარმცველი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე პირველ გუნდთან ერთადაც კი ვერ ვარჯიშობს. ბასტიანი ასევე ვერ მოხვდა ევროპა ლიგის 23 კაციან განაცხადში.

ლონდონის ჩელსიმ მილანის წარმომადგენლებთან სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია სესკ ფაბრეგასის ტრანსფერთან დაკავშირებით.

ესპანელი ნახევარმცველი 2017 წლის იანვარში შეუერთდება იტალიურ კლუბს და როსონერიში იჯარის წესით ითამაშებს. მილანს ფაბრეგასის გადაბირება 3 მილიონი ევრო დაუჯდება.

ეს გასაკვირიც არ იყო, რადგან დიდი ხანია იწერება, რომ ფაბრეგასი „ლურჯების“ მწვრთნელის, ანტონიო კონტეს გეგმებში არ შედიოდა და თანახმა იყო მისი სხვა გუნდში წასვლაზე.

ამ სეზონში 29 წლის ფეხბურთელმა კლუბში 2 მატჩი ჩაატარა და 1 საგოლე გადაცემა მიითვალა. ფაბრეგასს კონტრაქტი ჩელსისთან 2019 წელს ეწურება.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# თენგიზ არჩვაძე: „როგორ შეიძლება, შენი ქალაქი ამ დღეში ჩააგდო?!“



მსახიობი თენგიზ არჩვაძე თავის სამშობლოზე უზომოდ არის შეყვარებული. ამას ხელოვანი თავის საქმესა და საქციელში გამოხატავს. მსახიობს ყველაზე მეტად მწვანე საფარის განადგურება და ხეების უმოწყალო ჩეხვა აწუხებს.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, მომავალ თაობაზე აქტიურად ზრუნავს და ხეებს ინტენსიურად რგავს.

**თენგიზ არჩვაძე:**

– შეიძლება ხვალ აღარ ვიყო, მაგრამ დღეს ჩემს შვილიშვილებსა და მომავალ თაო-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სქელი მურაბა; 2. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 3. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 5. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 6. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი“; 10. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 12. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 14. მხარე ავსტრიაში; 15. მეტალურგიული ღუმლების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 16. ფილოსოფიური მოძღვრება მორალისა და ზნეობის შესახებ.

**თარაზულად:** 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 4. უძველესი სასუნთქი თამბაქო; 7. მონასტერი ხულოს რაიონში; 9. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 11. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 12. მდინარე გაგრაში; 13. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 17. კომპანია „მაიკროსოფტის“ მფლობელი; 18. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 19. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 20. ლათინური ამერიკიდან აშშ-ში არალეგალურად შემოსული მუშა-ხელის სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

